კავკასიიის საერთაშორისო უნივერისტეტი

გიორგი გულბანი

პირდაპირი უცხოური ინვესტიციები გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებში (საქართველოს მაგალითზე)

საერთაშორისო ბიზნესის მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამა

სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია საერთაშორისო ბიზნესის მენეჯმენტის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი: თეა ლაზარაშვილი-ასოცირებული პროფესორი

თბილისი2019

ანოტაცია

ნაშრომის მიზანს წარმოადგენს პირდაპირი უცხოური ინვესტიციების როლის განსაზღვრა გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებში (საქართველოს მაგალითზე).

საკითხი არის მეტად აქტუალური არა მარტო საქართველოში არამედ გლობალურ დონეზე.

ნაშრომში განხილულია საქართველოში განხორციელებული ინვესტიციების სტატისტიკური მაჩვენებლები. გაანალიზებულია ინვესტიციების განხორცილელებაზე მოქმედი ფაქტორები.

შესწავლილია საქართველოში მოქმედი საინვეტიციო პროექტების მხარდამჭერი კანონები, რომლის მიზანს ინვესტიციების ხელშეწყობა წარმოადგენს.

ნაშრომში განხილულია ინვესტიციების მარეგულირებელი ორგანოები, როგორც საქართველოს ასევე საზღვარგარეთის ქვეყნების დონეზე.

დეტალურად არის განხილული ინვესტიციების კლასიფიკაცია და თვისებები.

ამ თეორიული ანალიზის საფუძველზე ჩამოყალიბებულია დასკვნა, რომელიც შესაძლებელია გამოვიყენოთ ინვესტიციების სტიმულირებისთვის, რაც საბოლოო ჯამში გამოიწვევს ინვესტიციის ზრდას და ეკონომიკის გაძლიერებას.

Giorgi gulbani

Straight foreing investment in international countries (according to Georgia)

Anotation

The stady aims to define the role to the straight foreing investment in international countries (according to Georgia).

The issue is topical not only in Georgia but at a globan level. The work also includes discussions about statistics of the investitions in Georgia.

There are analyzed the current factors of the implemented investments. Also there are discuused the valid rules in Georgia that supports investment projects.

This stady also tells about regulator agencies of investments in Georgia and in foreing countries too.

It is researched the classification of the investments and it is major characteristic features.

This teoritical analysis forms the conclusion and recommendations which can be used to stimulate investments that provoke increasing of them and reinforces the economy of the country.

სარჩევი

ანოტაცია 2

სარჩევი 4

შესავალი 5

თავი 1. პირდაპირი უცხოური ინვესტიციების თეორიული საფუძვლები 7

1.1 ინვესტიციების ეკონომიკური შინაარსი და ფუნქციები 7

1.2 პირდაპირი უცხოური ინვესტიციების თანამედროვე თეორიები 19

თავი 2.პირდაპირი უცხოური ინვესტიციები საქართველოში..... 24

2.1. პირდაპირი უცხოური ინვესტიციების გავლენა საქართველოს ეკონომიკაზე..... 24

2.2 საქართველოში პირდაპირი უცხოური ინვესტივიების მოზიდვის განმაპირობებელი ფაქტორები 37

თავი 3. პირდაპირი უცხოური ინვესტიციები გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებში 44

3.1. პირდაპირი უცხოური ინვესტიციების განხორციელების განმსაზღვრელი ფაქტორები გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებში..... 44

3.2ინვესტიციების სფეროს მარეგულირებელი ორგანოები საზღვარგარეთის ქვეყნებში 51

დასკვნა..... 55

ბიბლიოგრაფია 59

შესავალი

თემის აქტუალობა. პირდაპირი უცხოური ინვესტიციები დიდ როლს თამაშობს ქვეყნის ეკონომიკის ჩამოყალიბებაში. ის არის გლობალიზაციის მამოძრავებელი ძალა.

პირდაპირი უცხოური ინვესტიციები არის ეკონომიკური სისტემის განუყოფელი ნაწილი. ისინი განსაზღვრავენ ქვეყნის ეკონომიკურ ზრდას, რომელიც საბოლოო ჯამში ხელს უწყობს ქვეყნის განვითარებას.

საქართველოს ეკონომიკის განვითარების მნიშვნელოვან ფაქტორს, პირდაპირი უცხოური ინვესტიციური პროექტები წამოადგენს.

თემიდან გამომდინარე მნიშვნელობანია გავიგოთ ინვესტიციების როლი საქართველოს ეკონომიკის მაგალითზე, თუ როგორ შეცვალა ინვესტიციებმა ქვეყნის ეკონომიკური მაჩვენებლები.

კვლევის მიზანი. კვლევის მიზანია გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებში, კერძოდ საქართველში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მნიშვნელობის განსაზღვრა და სამომავლო პერსპექტივების გაუმჯობესება.

კვლევის ამოცანების მნიშვნელობა. კვლევის ამოცანას წარმოადგენს ეკონომიკის ზრდაზე მოქმედი ფაქტორების განხილვა. ბიზნეს გარემოს გაუმჯობესების გზების ძებნა და ინვესტიციების ხელშემწყობი ფაქტოეების გამოვლენა და მათი სტიმულირება.

კვლევის მიზანია იმ დარგების განხილვა რომელიც ინვესტორებისთვის არის მიმზიდველი, ასევე ინვესტიციების განხორცილებაზე მოქმედი გარემოებების შესწავლა.

კვლევის საგნის და ობიექტის ფორმულირება. კვლევის საგანია პირდაპირი უცხოური ინვესტიციების გავლენა გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებში (საქართველოს მაგალითზე). კვლევის ობიექტია საქართველოში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების როლი ქვეყნის ეკონომიკურ მაჩვენებლებზე.

კვლევისათვის გამოყენებული მეთოდები. ნაშრომი ძირითადად ეყრდნობა თეორიულ კვლევებს. ნაშრომი გამოყენებულია ქართველი და უცხოელი მეცნიერების გამოკვლევები. ასევე გამოყენებულია საერთაშორისო ორგანიზაციების მონაცემები, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურისა და მრავალ სხვა ორგანიზაციაში მოპოვებული მონაცემების ანალიზის საფუძველზე.

ნაშრომის მეცნიერული სიახლე. კვლევის შედეგად მიღებული მეცნიერული სიახლეები შესაძლოა შემდეგნაირად ჩამოყალიბდეს:

- გაანალიზებულია ეკონომიკის განვითარების ტენდენციები საქართველოში.
- გამოკვლეულია პირდაპირი უცხოური ინვესტიციების რეგულირების გზები, ბიზნესის განვითარების სახელმწიფო მხარდაჭერის სისტემა საქართველოში.
- შესწავლილია ინვესტიციბეის განხორციელებაზე მოქმედი ფაქტორები და გამოვლენილია პრიორიტეტული დარგები.
- გაანალიზებულია გარდამავალი ქვეყნების ეკონომიკაზე ინვესტიციების როლის მნიშვნელობა.

მატერიალურ-ტექნიკური ბაზა და საინფორმაციო რესურსები. ნაშრომში გამოყენებულია ქართულ-ენოვანი ლიტერატურა. სტატისტიკური მონაცემების შესახებ ინფორმაცია მოპოვებულია საქართველოს სტატისტიკის სააგენოტოდან და ეკონომიკის სამინისტროს ვებ გვერდიდან. ასევე გამოყენებულია უცხოელი მეცნიერების კვლევები და შეფასებები.

თავი 1. პირდაპირი უცხოური ინვესტიციების თეორიული საფუძვლები

1.1 ინვესტიციების ეკონომიკური შინაარსი და ფუნქციები

ინვესტიცაია არის ქვეყნის ეკონომიკის სიძლიერის ერთ-ერთი ფაქტორი. მისი მნიშვნელობა საკმაოდ ფართო სპექტრს მოიცავს. მას აიგივებენ აქციების, რეალური აქტივების ან საქონლის წარმოებასა და გაყიდვასთან.

ინვესტიცია (ლათ investire-შემოსვლა)- ეწოდება კაპიოტალის დაბანდებას ეკონომიკურ საქმიანობაში მოგების და სოციალური ეფექტის მიღების მიზნით.

ფართო გაგებით ინვესტიცია არის მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს ქვეყნის ეკონომიკურ ზრდას. ინვესტიციის განხორცილების მოტივი არის შემოსავლის მატების მოლოდინი.

ხშირად ინვესტიციას აიგივებენ თავისუფალ ფულად სახსრებთან, რაც სრულიად გამორიცხავს ინვესტიციის მნიშვნელობას. თავისუფალი ფულადი სახსრები მანამ სანამ არ მოიტანს გარკვეულ ფულად სარგებელს ვერ ჩაითვლება ინვესტიციად. მაგ: თუ მას მოვათავსებთ ანაბარზე ეს შეიძლება განვიხილოთ როგორც ინვესტიცია.

საქართველოს კანონი „საინვესტიციო საქმიანობის ხელშეწყობისა და გარანტიების შესახებ“ ინვესტიციას შემდეგნაირად განმარტავს:

1. ინვესტიციად მიიჩნევა ყველა სახის ქონებრივი და ინტელექტუალური ფასეულობა ან უფლება, რომელიც დაბანდდება და გამოიყენება შესაძლო მოგების მიღების მიზნით საქართველოს ტერიტორიაზე განხორციელებულ სამეწარმეო საქმიანობაში.

2. ასეთი ფასეულობა ან უფლება შეიძლება იყოს: ფულადი სახსრები, წილი, აქციები და სხვა ფასიანი ქაღალდები. უძრავი და მოძრავი ქონება_მიწა, შენობა-ნაგებობები, მოწყობილობები და სხვა მატერიალური ფასეულობა. მიწით ან სხვა ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის უფლება,პატენტი, ლიცენზია , გამოცდილება და სხვა ინტელექტუალური ფასეულობა.[კანონი „საინვესტიციო საქმიანობის ხელშეწყობისა და გარანტიების შესახებ“ 1996]

დიაგრამა1:

უცხოური ინვესტიციების ფუნქციები



წყარო: გუგა ურუშაძე, 2015,გვ.79

დიაგრამიდან ნათლად ჩანს რომ ინვესტიაციას ფართო მნიშვნელობა ენიჭება ლოკალურ და მსოფლიო დონეზე.

მსოფლიო დონეზე ინვესტიციის ფუნქციას წარმოადგენს გლობალიზაციის გაძლიერების ფუნქცია.

ლოკალურ დონეზე ინვესტიციის ფუნქციებს ნებისმისერი ეროვნული ეკონომიკისათვის წარმოადგენს:

1. ეკონომიკის კატალიზატორის ზრდის ფუნქციას.
2. საშინაო ბაზრებზე კონკურენტული გარემოს გაძლიერების ფუნქციას.
3. ქვეყნის შიდა საინვესტიციო შესაძლებლობების შევსების ფუნქცია.

გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებისთვის ინვესტიციის ფუნქციებს მიეკუთვნება:

1. ცხოვრების დონის ზრდის ფუნქცია
2. მოსახლეობის მენტალიტეტის შეცვლის ფუნქცია
3. უკანონოდ გატანილი კაპიტალის ლეგალიზების ფუნქცია.

ინვესტიციის განხორცილების მიზანის დადგენა ამ ფუნქციების გაანალიზების მეშვეობით უფრო მარტივდება.

ინვესტიცია თავისი შინაარსიდან გამომდინარე ფართო სპექტრს მოიცავს და მნიშვნელოვანია მისი კლასიფიკაციებად დაყოფა. საკმაოდ ბევრი ნიშნის მიხედვით არის შესაძლებელი ინვესტიციის კლასიფიცირება.

ზემოთ განხილულიდან შესაძლებელია დავასკვნათ რომ გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებიში ინვესტიციების განხორციელებას დიდი მნიშვნებლობა ენიწება. ფაქტიურად ის აყალიბებს ქვეყნის ეკონომიკას და განსაზღვრას შემდგომში მის პოტენციურ შესაძლებლობას გლობალურ ასპარეზზე.

მართალია რომ ინვესტიციები კარგია მაგრამ ვთვლი რომ ხელაღებით მისი როგორც ქვეყნის ეკონომიკის მხსნელის გაიგივება არასწორა.

ვინაიდან ქვეყანაში ამდენი უცხოური ინვესტიცია ხორციელდება ვთვლი რომ დიდი ყურადღება უნდა დაეთმოს განხორციელბის მიზანს, მაგალითად ხომ არ ინქბეა ის საზიანო ქვეყნის კულტურისთვის ან შიდა ეკონომიკური ბაზრისთვის.

ინვესტიცია თავისი მაშტაბებიდან გამომდინარე ფაქტიურად მოიცავს მთელ გლობალურ ეკონომიკას ამიტოს მნიშვნელოვანია მისი კლასიფიცირება.

უფრო მეტი თვალსაჩინოებისთვის განვიხილოთ ინვესტიციების კლასიფიკაცია და უფრო ძირფესვიანად გავეცნოთ მის მახასიათებლებს.

ცხრილი1:

ინვესტიციების კლასიფიკაცია

საწარმოს ინვესტიციები კლასიფიკაცია	
კაპიტალის დაბანდების ობიექტების მიხედვით	• რეალური ინვესტიციები • ფინანსური ინვესტიცია
ინვესტიციურ პროცესში მონაწილების ხასიათის მიხედვით	• პირდაპირი ინვესტიცია • არაპირდაპირი ინვესტიცაი
კვლავსაწარმოებითი მიმართულების კიხედვით	• მთლიანი ინვესტიცია • სარენოვაციო ინვესტიცია • წმინდა ინესტიცია
შემოსავალზე დამოკიდებულების ხარისხის მიხედვით	• წარმოებრივი ინვესტიცია • ავტონომიური ინვესტიცია
ინვესტორ საწარმოსთან დამოკიდებულებით	• შიდა ინვესტიციები • გარე ინვესტიციები
განხორციელების პერიოდის მიხედვით	• მოკლევადიანი ინვესტრიცია • გრძელვადიანი ინვესტიცია
განხორციელბის თავსებადობის მიხედვით	• დამოკიდებული ინვესტიცია • ურთიერთდამიკიდებული ინვესტიცია • ურთიერთგამომრიცხავი ინვესტიცია
შემოსავლიანობის დონის მიხედვით	• მაღალ შემოსავლიანი ინვესტიცია • საშუალო შემოსავლიანი ინვესტიცია • დაბალ შემოსავლიანი ინვვესტიცია • უშემოსავლო ინვესტიცია
საინვესტიციო რისკის დონის მიხედვით	• ურისკო ინვესტიცია • დაბალი რისკის ინვსეტიცია • საშუალო რისკის ინვესტიცია • მაღალრისკიანი ინვესტიცია
ლიკვიდურობსი დონის მიხედვით	• მაღალლიკვიდური ინვესტიცია

	• საშუალო ლიკვიდური ინვესტიცია • დაბალლიკვიდური ინვესტიცია • არალიკვიდური ინვესტიცია
ინვესტირებული კაპიტალის საკუთრების ფორმების მიხედვით	• კერძო ინვესტიცია • სახელმწიფო ინვესტიცია • შერეული ინვესტიცია
ინვესტიციურ პროცესში კაპიტალის გამოყენების ხასიათის მიხედვით	• პირველადი ინვესტიცია • რეინვესტიციები • დეზინვესტიციები
კაპიტალის მოზიდვის რეგიონალური წყაროების მიხედვით	• სამამულო ინვესტიციები • უცხოური ინვესტიციები
ინვესტირებული კაპიტალის რეგიონალური მიმართულების მიხედვით	• ინვესტიციები შიდა ბაზარზე • ინვესტიციები საერთაშორისო ბაზარზე
დარგობრივი მიმართულების მიხედვით	• ინვესტიციები საქმიანობის დარგებში და სფეროში მათი კლასიფიკაციის შესაბამისად

წყარო: ლამარა ქოქიაური 2007, გვ. 499

კაპიტალის დაბანდების ობიექტის მიხედვით ერთმანეთისგან განასხვავებენ რეალურ და ფინანსურ ინვესტიციას:

- რეალური ინვესტიცია არის კაპიტალის დაბანდება ძირითად საშუალებების კვლავწარმოებაში, მეორენაირად მას კაპიტალ წარმომქმნელ ინვეტიციადაც მოიხსენიებენ.
- ფინანსური ინვეტიცია ძირითადად ხორციელდება ფასიან ქაღალდებში რომლის მიზანიც შემოსავლის მიღება.

საინვესტიციო პროცესში მონაწილების მიხედვით გამოყოფენ პირდაპირ და არაპირდაპირ ინვესტიციებს:

- პირდაპირი არის ინვესტიცია როდესაც უშუალოდ ინვესტორი იღებს მონაწილეობას ინვესტირებასა და კაპიტალიდ დაბანდების ობიექტის შერჩევაში.
- არაპირდაპირია ინვესტიცია როდესაც კაპიტალის დაბანდება ხდება შუამავლების მეშვეობით.

კვლავწარმოების მიხედვით ინვესტიცია იყოფა მთლიან, სარენოვაციო და წმინდა ინვესტიციად:

- მთლიანი ინვესტიცია ახასიათებს ძირითადი საშუალებების საერთო მოცულობას კვლავწარმოების ინვესტირებაში.
- სარენოვაციო ინვესტიცია ახასიათებს ძირითადი საშუალებების და კაპიტალის მოცულობას მარტივ კვლავწარმოებაში.
- წმინდა ინვესტიცია ახასიათებს ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების მოცულობას გაფართოებულ კვლავწარმოებაში.

შემოსავალზე დამოკიდებული ხარისხის მიხედვით ინვესტიცია იყოფა წარმოებულ და ეკონომიკურ ინვესტიციად:

- წარმოებული ინვესტიცია პირდაპირ კავშირშია შემოსაცვლის მოცულობის დინამიკასთან.
- ავტონომიური ინვესტიცია არ უკავშირდება წმინდა შემოსავლის ფორმირებასა და განაწილებას.

ინვესტორის საწარმოს მიმართ დამოკიდებულების მიხედვით ინვესტიცია იყოფა შიდა და გარე ინვესტიციად:

- შიდა არის როდესაც კაპიტალის დაბანდება ხდება საწარმოს ოპერატიული აქტივების განვითარებაში.
- გარეა როდესაც კაპიტალის დაბანდება ხდება სხვა საწარმოების რეალურ აქტივებში.

განხორციელების პერიოდის მიხედვით ყოფენ მოკლევადიან და გრძელვადიან ინვესტიციებს:

- მოკლევადიანია ინვესტიცია რომელსაც ახასიათებს კაპიტალის დაბანდება 1 წლამდე ვადით.

- გრძელვადიანია ინვესტიცია რომელსაც ახასიათერბს კაპიტალის დაბანდება 1 წელზე მეტი პერიოდით.

განხორციელბის თავსებადობის მიხედვით განასხვავენებ დამოკიდებულ, ურთიერთდამოკიდებულ და ურთიერთგამომრიცხავ ინვესტიციებს:

- დამოკიდებული ინვესტიცია არის კაპიტალის დაბანდება ისეთ საწარმო პროგრამაში რომელიც შესაძლებელია წარმოდგენილი იყოს ავტონომიურ ობიექტად.
- ურთიერთდამოკიდებული ინვესცტიცია არის კაპიტალის დაბანდება ისეთ ობიექტებში რომლის რეალიზაციის რიგითობა ან შემდგომი ექსპლუატაცია დამოკიდებულია ინვესტიციების სხვა ობიექტებზე.

შემოსავლიანობის დონის მიხედვით განასხვავებე მაღალშემოსავლიან, საშუალოშემოსავლიან, დაბალშემოსავლიან და უშემოსავლო ინვესტიციებს:

- მაღალშემოსავლიანია ინვესტიცია რომლის მოგება აჭარბებს ბაზრზე არსებულ მოგების ნორმას.
- საშუალოშემოსავლიანია ინვესტიცია რომლის მოგების ნორმა შეესაბამება ბაზარზე ინვესტიციების მოგების საშუალო დონეს.
- დაბალშემოსავლიანია რომლის მოგება ჩამორჩება მოგების საშუალო დონეს, ხოლო უშემოსავლოა ინვესტიცია როდესაც ინვესტორი არ ელოდება მოგების მიღებას ინვესტიციისგან, ის ძირითადად განკუთვნილის საოციალური პროგრამების განხორციელებისთვის.

რისკის დონის მიხევით გამოყოფენ ურისკო, დაბალრისკიანი, საშუალორისკიანი და მაღალრისკიან ინვესტიცებს:

- ურისკოა ინვესტიცია რომლის მოგების მირების შესაძლებლობა გარანტირებულია.
- დაბალრისკიანი ინვესტიციას ახასიათებს დაბანდება ისეთ ობიექტებში რომლის საბაზრო რისკი ცამორჩება ბაზრის საშუალო რისკს.
- საშუალორისკიანია ინვესტიცია რომერლიც შეესაბამება საბაზრო საშუალო რისკის დონეს.

- მაღალრისკიანია ინვესტიცია რომლის რისკის დონე აჭარბებს ბაზარზე საშუალო რისკის დოენს.

განასხვავებენ ინვესტიციებს ლიკვიდურობის მიხედვით: მაღალლიკვიდური, საშუალოლიკვიდური, დაბალლიკვიდური და არალიკვიდური.

- მაღალლიკვიდური ინვესტიცია მიეკუთვენება ინვესტირება ისეთ ობიექტებში რომელსაც შეუძლია სწრაფად გარდაისახოს ფულად ფორმაში.
- საშუალოლიკვიდურ ინვესტიციის ფონვერსირებუის ვადა არის ერთიდან ექვს თვემდე პერიოდი.
- დაბალიკვიდური ინვესტიციის კონვერსირების ვადა 6 თვეზე მეტია.
- არალიკვიდური ინვესტიციაში კი იგულისხმება იესთი აქტივები რომლესაც დამოუკიდებლად რეალიზაცია არ შეუძლია.

ინვესტირებული კაპიტალის მიხედვით გამოყოფენ : კერძო, სახელმწიფო და შერეულ ინვესტიციას.

- კერძოა ინვესტიცია რომელიც ხორციელდება ფიზიკური ან იურიდული პირების მიერ და არა სახემწოფო ორგანოს მიერ.
- სახელმწიფო ინვესტიცია არის სახელმწიფო კაპიტალის დაბანდება სხვადასხვა პროგრამებში.
- შერეულ ინვესტიციებს ახასიტებს ორივე შემთხვევა როგორც კერძო ისე სახელმწიფო ინვესტიციევი.

კაპიტალის გამოყენების ხასიათის მიხედვით გამოყოფენ: პირველად ინვესტიციას, რეინვესტიციებს და დეზინვესტიციებს.

- პირველად ინვესტიციას ახასიათებს ახლად ფორმირებული კაპიტალის გამოყენება.
- რეინვეტირება როდესაც ხდება კაპიტალის დაბანდება განმეორებით.
- დეზინვესტიციები გულისხმობს კაპიტალის გატანსა რეინვესტირეის მიზის გარეშე.

კაპიტალის მოზიდვის წყაროების მიხედვით გამოყოფენ ადგილობრივ და უცხოურ ინვესტიციებს:

- ადგილობრივ ინვესტიციებს ახორციელებენ მოცემულ ქვეყის რეზიდენტების მრავალფეროვან ობიექტებში.
- უცხოურ ინვესტიციებს ახასიათებს კაპიტალის დაბანდება მოცემული ქვეყნის არარეზიდენტების მიერ.

ინვესტიციებს დაბანდებული კაპიტალის, რეგიონული მიმართულების მიხედვით განასხვავებენ შიდა და საერთაშორისო ბაზარზე:

- შიდა ხორციელდება მოცემული ქვეყნის ტერიტორიაზე.
- საერთაშორისო ინვესტიცია ხორციელდება მოცემული ქვეყნის საზღვრებს გარეთ.

როგორც კლასიფიკაციიდან ჩანს ინვესტიცია საკმაოდ ფართო ცნება. ის ფაქტიურად ხორციელდება ვადების, მოსალოდნელი სარგებლის, რისკის, დარგის და სხვა ფაქტორების გათვალისწინებით.

ამ მონაცემების გააზრება საშაულებას იძლევა ჩვენვე განვსაზღვროთ ინვესტირებული პროექტები რომელ კატეგორიას ეკუთვნის, ან თუნდაც შემდგომში ჩვენვე დაგვჭირდეს ინვესტიცის განხორციელბა რის შესახებაც გარკვეული ცოდნა გვექნება.

ინვესტიცისი კლასიფიკაცია დიდ როლს თამაშობს საინვესტიციო პროექტების განხორციელბაში, კერძდ ყალიბდება პრიორიტეტები და მიმზიდველი ეკონომიკური დარგები.

ასევე მეტად მნიშვნელოვანია ინვესტიციის ძირითადი მახასიათებლების გაანალიზებც. მათი გაანალიზების შემდგომ ხდება მხოლოდ ინვესტიციის განხორცილება.

ეს მახასითებლები უფრო დეტალურად აყალიბებს ინვესტიციის არსს და მისი კომბინაცია კლასიფიკაციასთან კიდევ უფრო მეტად ამყარებს შეხედულებას ინვესტიციის სარგებლიანობის შესახებ.

შესაბამისად შესაძლებელია ჩამოვაყალიბოთ დასკვნა რომ ეს ორი ფაქტორი წარმოადგენს ინვესტიციის ეკონომიკური არის საფუძვლებს და მათი შესწავლა განაპირობებს ინვესტიციური პროექტების განხორციელბის მიზნებს.

ინვესტიციის ძირითადი მახასიათებლები 10 ფაქტორად შეიძლება ჩამოვაყალიბოთ:

დიაგრამა2:

ინვესტიციის ძირითადი ეკონომიკური მახასიათებლები

წყარო: ლამარა ქოქიაური, 2007, გვ.428

1. ინვესტიციები როგორც ეკონომიკური მართვის ობიექტი: ინვესტიციები ძირითადად ეკონომიკურ ინტერესებს ატარებენ და ეკონომიკუი მართვის ობიექტად გვევლინებიან ნებისმიერ ეკონომიკურ სისტემაში.
2. დაგროვილი კაპიტალის ეკონომიკურ პროცესში ჩართვის აქტიური ფორმა: ინვესტიციები განიხილება როგორც დაგროვილი კაპიტალის გამოყენების აქტიური ფორმა.
3. ყველა აქტიური ფორმით დაგროვილი კაპიტალის გამოყენების შესაძლებლობა: საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული კაპიტალი შეიძლება ყველა ფორმით აამოქმედონ, უპირველს ყოვლის საწაროო საქმიანობაში.
4. სამეურნეო საქმიანობის ნებისმიერ ობიექტში კაპიტალის დაბანდების ალტერნატიული შესაძლებლობა: ინვესტიცია შეგვიძლია განვიხილოთ როგორც დაგროვილი კაპიტალის ალტერნატიულ აქტივებად გარდასახვის ფორმა.
5. სამეწარმეო საქმიანობის ეფექტის გენერირების წყარო: ინვესტიციების გენერირების წყაროს ინვესტირებული კაპიტალის ნაყოფიერება წარმოადგენს.
6. საბაზრო ურთიერთობათა ობიექტი: ინვესტიციების პროცესში გამოყენებული სხვადასხვა საინვესტიციო ინსტრუმენტები აყალიბებს საინვესტიციო ბაზარს. მას ახასიათებს მოთხოვანა ,მიწოდება და ფასი.
7. საკუთრებისა და განკარგვის ობიექტი: თუკი კაპიტალის ინვესტირების თავდაპირველ ეტაპზე საკუთრების ტიტული და განკარგვის უფლებები ერთსა და იმავე სუბიექტს უკავშირდებოდა.
8. დროითი მჯობინების ობიექტი: ინვესტირების პროცესი უკავშირდება დროის ფაქტორს. არსებობს თეორია რომლის მიხედვითაც ახლდანდელ დოვლათს ინდივიდი ყოველთის უფრო მეტად აფასებს ვიდრე მომავალს, ამ ქცევას დროითი მჯობინება ქვია.
9. რისკის ფაქტორის მატარებელი: საინვესტიციო საქმიანობას მუდამ ახლავს რისკი. ინვესტორიც მუჯდმივად უნდა იყოს მზად სარგებლის დაკარგვასთან ან ზრდასთან.

10. ლიკვიდობის ფაქტორის მატარებელი: ყველა სახის ინვესტიციას აქვს გარკვეული ლიკვიდობა, ანუ საჭიროების შემთხვევაში რეალიზაციის უნარი საბაზრო ღირებულების ფასში. ამ დროს რეალიზება ხდება ინვესტიციაში დაბანდებული კაპიტალის, შესაძლებელია ეს იყოს უძრავი ქონება , მანქანა-დანადგარები და სხვა.

ზემოთ განხილულიდანაც ჩანს რომ ინვესტიცია საკმაოდ ფართო მცნება და მისი გაანალიზება გულისხმობს მთელი რიგი კლასიფიკაციების თუ მახასიათებლების შესწავლას.

1.2 პირდაპირი უცხოური ინვესტიციების თანამედროვე თეორიები

ინვესტიციების თეორიული გენეზისი უკავშირდება ეკონომიკური აზრის პრაქტიკულად ყველა სკოლის მეცნიერულ პოსტულატებს.

ინვესტიციების არის ეკონომიკურ პროცესში გააზრების პირველი მცდელობა უკავშირდება - არისტოტელეს და პლატონის სახელებს.

მათი მიდგომები ინვესტიციების შესახებ მჭიდროდ უკავშირდებოდა საზოგადოებაში ფულის ფუნქციებს, დაგროვებისა და გამოყენების ხერხებს. ეს მცდელობები მართალია არასრული იყო, თუმცა მომდევნო თაობებში მათ უფრო ფართო მნიშვნელობები შეიძინეს.

მერკანტილისტები ინვესტიციების შესახებ- ინვესტიციების თეორიის სფეროში უპირველეს ყოვლისა განსაზღვრავდნენ, საინვესტიციო რესურსების წყაროებს. ფულს ისინი განიხილავდენენ როგორც სავაჭრო და საწარმოო საქმიანობსი მოცულობის გადიდების უზრუნველმყოფი.

მერკანტილისტებმა პირველებმა დაასაბუთეს იმ პირობების სახელმწიფოებრივი რეგულირების აუცილებლობა, რომელიც ქვეყანაში უცხოური ინვესტიციების შემოდინებას უზრუნველყოფდა.

ფიზიოკრატების შეხედულება ინვესტიციებზე- ფიზიოკრატების სკოლის წარმომადგენლები იყვნენ ფ.კენე, ჟ. ტიურგო და თ. სიენსი. საინვესტიციო რესურსების მიმართ მათი მიდგომა აქცენტირებული იყო ძირითადად მიწათმოქმედებაზე და არა ვაჭრობაზე(მერკანტილისტებისაგან განსხვავებით). პრიორიტეტულ საინვესტიციო პოლიტიკად მათ მიაჩნდათ სახსრების დაბანდება სასოფლო-სამეურნეო სექტორებში.

ფიზიოკრატებმა პირველებმა დაუდეს სათავე ინვესტირებული კაპიტალის დაყოფას ძირითად და საბრუნავ კაპიტალად.

კლასიკური პოლიტიკური ეკონომიკის თეორია- პირველ რიგში მისმა წარმომადგენლებმა ა. სმითმა და დ. რიკარდომ გააღრმავეს ინვესტიციის მნიშვნელობის არეალი. მათ გააფართოვეს როგორც საწარმოო ისე არასაწარმოო ინვესტიციის მნიშვნელობა.

ამ სკოლის მიმდევრებმა პირველებმა გამიჯნეს ფულისა და კაპიტალის ცნებები, განსაზღვრეს ფულის დაგროვების როლი საინევტიციო რესურსებში და განიხილეს საკრედიტო ფულის როლი ინვესტიციების განვითარებაში. მათ პერიოდში დამტკიცდა ინვესტირებული კაპიტალის შემოსავლიანობის ნორმის შემცირების პროცესის ობიექტურობა მისი გამოყენების მოცულობის გადიდების პარალელურად, ასევე შეიქმნა ქვეყნის მასშტაბით საინვესტიციო რესურსების განაწილების ოპტიმიზაციის სქემა.

ინვესტიციების მარქსისტული სკოლის თოერია- ამ სკოლის ყველაზე ღირებული დასკვნა გახდა ინვესტიციების, როგორც მოგების ზრდის ფუნქციის განხილვა.

კ. მარქსის მტკიცენბით, ინვესტიციებზე არსებული მოთხოვნა შენარჩუნდება და დაგროვილი კაპიტალი სრული მოცულობით ინვესტირდება მანამ, ვიდრე დაბანდებული სახსრები მინიმალურ სარგებელს მაინც მოიტანდნენ.

მარქსისტული კველვის თანახმად საერთაშორისო ინვესტიციების თეორია 2 მნიშვნელოვან ასპექტს გულისხმობს: იმპორტიორ ქვეყნებში მეტი ინვესტიციური მოგების მიღების შესაძლებლობა და ექსპორტიორი ქვეყნები კი დაგროვილი კაპიტალის სიჭარბით ხასიათდებიან.

მარჟინალისტების ეკონომიკური ინვესტიციების თეორია- მათ ეკონომიკური პარადიგმის საფუძველს წარმოადგენდა ზღვრული სარგებლიანობის თეორია, რომლის შემუშავებასაც ეკონომისტები რევოლუციურ მოვლენად აფასებენ.

ისინი ძირითად ყურადღებას მაკროეკონომიკურ ინვესტიციურ ანალიზს აქცევდნენ. მათმა შემოიტანეს „ინვესტიციური საქონლის ზღვრული სარგებლიანობისა“ და „ინვესტირებული კაპიტალის ზღვრული ნაყოფიერების“ ცნებები.

გარდა ამისა არსებობს ცალკეული მეცნიერების წვლილი ინვესტიციების ანალიზის ჩამოყალიბებასა და განვითარებაში:

1. ჯ. კეინზი- წიგნში „ დასაქმების, პროცენტის და ფულის ზოგადი თეორია“ იგი წერდა, რომ საინევსტიცო გადაწყვეტილებები ორიენტირებული უნდა იყოს კაპიტალის ზღვრულ ეფექტიანობაზე.

2. ჯ. ვან დივენტიერი- 1915 წელს პირველად შემოგვთავაზა „დარგობრივი ნორმატივების“ გამოყენება ინვესტიციების ეფექტიანობის გასაგებად, გამოაქვეყნა ცხრილი რომლის მიხედვითაც ინვესტიციების შეფასება იყო შესაძლებელი.
3. ი. ფიშერი - პირველად მკაფიოდ ჩამოაყალიბა ინვესტიციების შეფასების კრიტერიუმები, განსაზღვრა ინვესტირების მიზნები.
4. ლ. იუშკოვი - პირველი ნაბიჯები გადადგა კაპიტალურ დაბანდებათა შერჩევისადმი რაციონალური მიდგომის მიმართულებთ. დაადგია კაპიტალურ და მიმდინარე დანახარჯებს შორის დამოკიდებულება და მისგან გამოიყვანა შედარებითი ეფექტიანობის ცნება.
5. ფ. მოდილიანი, მ. მილერი და ე. სოლომონი - დიდი ყურადრება დაუთმეს კაპიტალის ღირებულების(დისკონტირების განაკვეთის) ცნებას და თეორიულ დასაბუთებას.
6. ჯ. ტობინი - 1958 წელს პირველად დაასაბუთა რენტაბელურობის ურისკო განაკვეთის გამოყენება ინვესტიციების პორტფელის ოპტიმიზაციაში.
7. რ. ა. ნაიდენი - 1997 წელს გამოსცა ენციკლოპედიური ხასიათსი ნაშრომი „ ინვესტიციების თანამედროვე თეორიები“ სადაც მოიძებნება უმდიდრესი მასალა ინვესტიციებისა და ინვესტირების შესახებ.
8. ი. ა. ბლანკი - ჩამოაყალიბა ინვესტიციური მენეჯმენტის თეორიული საფუძვლები თანამედროვე ეტაპზე.
9. ჯ. გიტმანი და მ.ჯონკი - შექმნეს ფუნდამენტური ნაშრომი ინვესტიციებისა და ინვესტირების, საინვესტიციო გარემოსა და მართვის შესახებ. სახემძღვანელო „ ინვესტირების საფუძვლები“.
10. ა. ლ. ლურიე - გააკეთა დასკვნა რომ საინვესტიციო დანახარჯები განხორციელების დროით და წარმოშობის ერთჯერადი ხასიათით განსხვავდება წლიური საექსპლოატაციო ხარჯებისაგან. [ლამარა ქოქიაური, 2007, გვ.272]

უცხოური პირდაპირი ინვესტიციები თანამედროვე პერიოდში გვევლინება ეკონომიკური გლობალიზაციის ერთ-ერთ მამოძრავებელ ძალად.

ეკონომიკურ ლიტერატურაში უცხოური პირდაპირი ინვესტიციები განიხილება, როგორც ფუნდამენტური ნაწილი წარმატებული საერთაშორისო ეკონომიკური სისტემისა და მისი განვითარების ძირითად მექანიზმად.

მისი ევოლუცია ცხადყოფს რომ ინვესტიციები მუდამ იყო ინტერესის სფერო და მუდმივად ხდებოდა მასში ცვლილებეის შეტანა.

გაერთიანებული ერების ორგანიზაცია უცხოურ პირდაპირ ინვესტიციებს განსაზღვრავს, როგორც ინვესტიციას, როდესაც საინვესტიციო საწარმო მდებარეობს ერთ ქვეყანაში, მაგრამ „ეფექტურად კონტროლდება" სხვა ქვეყნის რეზიდენტების მიერ.

საერთაშორისო სავალუტო ფონდის (IMF) და ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების საერთაშორისო ორგანიზაციის (OECD) განმარტებით, უცხოური პირდაპირი ინვესტიციები გამოხატავენ გრძელვადიანი ინტერესების შეძენას ერთი ქვეყნის რეზიდენტის საწარმოს მიერ (პირდაპირი ინვესტორი) მეორე ქვეყნის საწარმოში.

თანამედროვე ეკონომიკურ ლიტერატურაში დადასტურებულია, რომ მასპინძელი ქვეყნისთვის უცხოური პირდაპირი ინვესტიციებიდან მაქსიმალური სარგებელი შეიძლება იყოს მნიშვნელოვანი,როდესაც ის რეციპიენტ ქვეყანას გადასცემს:

- თანამედროვე ტექნოლოგიებს;
- ქმნის გლობალურ მენეჯერულ უნარ-ჩვევებზე ხელმისაწვდომობას;
- ახორციელებს ადამიანური კაპიტალის ფორმირების მხარდაჭერას;
- ოპტიმალურად სარგებლობს ადამიანური შესაძლებლობებითა და ბუნებრივი რესურსებით;
- საერთაშორისო დონეზე ზრდის ბიზნესის კონკურენტუნარიანობას;
- აფართოებს საექსპორტო ბაზრებს;
- უზრუნველყოფს პროდუქციისა და მომსახურების საერთაშორისო ხარისხის
- ხელმისაწვდომობას და ხელს უწყობს საერთაშორისო სავაჭრო ინტეგრაციას.

უცხოური პირდაპირი ინვესტიციები ეხმარება მასპინძელ ქვეყანას გააუმჯობესოს ეკონომიკური გარემო და სოციალური მდგომარეობას.

ამრიგად, უცხოური პირდაპირი ინვესტიციები არის კაპიტალის, ტექნოლოგიის, ადამიანური რესურსების ნაკადები ერთი ქვეყნიდან მეორეში. ეროვნული პოლიტიკა და საერთაშორისო სამრეწველო მიღწევები თამაშობს მნიშვნელოვან როლს უცხოური პირდაპირი ინვესტიციების მოზიდვაში მრავალ ქვეყანაში.

თავი 2.პირდაპირი უცხოური ინვესტიციები საქართველოში

2.1. პირდაპირი უცხოური ინვესტიციების გავლენა საქართველოს ეკონომიკაზე

გლობალიზაციის პირობებში საქართველოსთვის პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვა სასიცოცხლოდ მნიშვნერლოვანი. უფრო მეტიც, ზოგიერთი განვითარებადი ქვეყნები, ინვესტიციური შიმშილის მოსაკლავად, ცალკე აღებულ ტერიტორიებზე ბიზნესმენებისთვის დამატებითი შეღავათების დაწესებას ცდილობს (მაგ.: თავისუფალი ეკონომიკური ზონის დაარსების გზით), რაც, საბოლოო ჯამში, მხოლოდ ამ ტერიტორიაზე ინვესტიციების აკუმულირებას, მთელ ქვეყანაში კი ინვესტიციური შიმშილის კიდევ უფრო გაიძლიერებას უწყობს ხელს.

ინვესტიციებიდან განსაკუთრებით მნიშვნელოვანია: პირდაპირი უცხოური ინვესტიციები რადგანაც დიდწილად, სწორედ ისინი განაპირობებენ ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებას გრძელვადიან ასპექტში.

მთლიანობაში კი, შესაძლოა ითქვას რომ პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებს საქართველოსთვის და მისი ეკონომიკის სხვადასხვა დარგებისთვის მრავალი დადებითი ეფექტის მონატანა შეუძლია,მითუმეტეს იმ პირობებში, როდესაც საქართველოში არსებული ადგილობრივი ფინანსური რესურსები, სხვადასხვა მიზეზების გამო, ვერ უმკლავდება ადგილობრივი საინვესტიციო „მოთხოვნილებების და საჭიროებების“ დაკმაყოფილებას.

საქართველოს ეკონომიკაში ინვესტიციბის მნიშვნელოვანი როლი ნამდვილად იგრძნობა. ამას მოწმობს ტურისტული ინდუსტრიის განვითარება, ინფრასტრუქტურული პროექტები, სასტუმრო ესგმენტის განვითარება, სატრანსპორტო და საზღვაო პროექტების განხორციელბა.

ვინაიდან სარაქტელოს აქვს ხელსაყრელი ადგილმდებარეობა და ასევე ბუნებრივი რესურსები ის არის ინვესტორებისთვის მიმზიდველი ქვეყანა ამას მოწმობს ინვესტიციური პროექტების მატებას ქვეყანში.

საქართველოში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების დინამიკის საფუძველზე შეიძლება ითქვას რომ ყველაზე დიდი ინვესტიცია 2017 წელს განხორციელდა.

ცხრილი2:

პირდაპირი უცხოური ინვესტიციების დინამიკა საქართველში (მლნ. აშშ დოლარი)

წელი	1	2	3	4	სულ
2006	145.2	318	332.4	375.5	1171.2
2007	330.8	366.5	468.9	568.4	1752.6
2008	539.5	605.4	134.9	290	1569.7
2009	113.3	117.1	179	194.8	664.2
2010	176.1	211.4	236.4	221.2	845.1
2011	222.5	270.9	306.8	329.6	1129.9
2012	295.5	246.8	219.5	261.2	1022.9
2013	290.3	216.4	265.8	248	1020.5
2014	326.6	209.7	740.5	540.9	1817.7
2015	335	483	515.9	331.7	1665.6
2016	378.8	411.5	491.7	283.7	1565.8
2017	393.6	355.8	622.8	522.	1894.5
2018*	300.1	390.4	344.7	197.1	1232.4
2019*	281.1				281.2

*წინასწარი მონაცემები

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

ამ მონაცემების საფუძველზე შესაძლებელია ითქვას რომ საქართველოში პირდაპირი უცხოური ინვესტიციები სტაბილურად მიმდინარეს. თუ არ ჩავთვლით 2009-2010 წლებს . ამ წლებში ინვესტიციების კლების ერთ-ერთი განმაპირობებელი ფაქტორი აგვისტოს ომი იყო რამაც ქვეყანაში სახიფათო მდგომარეობა შექმნა, სწორედ ამიტომ ინვესტორებისთვის სარისკო იყო საომარ პერიოდში ინვეტიციების

განხორციელება. ამან გარკვეულ წილად ქვეყნის იმიჯზეც იმოქმედა. თუმცა რამოდენიმე წელში კვლავ სტაბილური მაჩვენებლებით გრძელდება ინვესტიციები.

ცხრილი 3:

პირდაპირი უცხოური ინვესტიციციები კომპონენტების მიხედვით 2017-2019 წლებში (მლნ. აშშ დოლარი)

	2017	2018	2019
სულ	1894.5	1232.4	281.1
მათ შორის:			
სააქციო კაპიტალი	1187.9	699.9	157.9
რეინვესტირება	657.5	558.8	84.4
სავალო ვალდებულებები	49.1	-26.2	35.9

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

როგორც ცხრილიდან ჩანს ყველაზე მეტი ინვესტიცია 2017 წელს განხორციელდა, რომელშიც სააქციო კაპიტალის წილი 1187.9 მილიონ აშშ. დოლარს შეადგენს. ხოლო 2018 წელს თითქმის პროპორციულად განაწილდა სააქციო კაპიტალი და რეინვესტირების კომპონენტები.

აღსანიშნავია რომ სავალო ვალდებულების წილი 2017 წელს 49.1 მლნ ლარს შეადგენდა ,ხოლო 2018 წელს კი მივიღეთ -26.2 ანუ შემცირდა სავალო ვალდებულებით განხორციელბული ინვესტიციების წილი.

2019 წლის პირველ კვარტალში კი მეტი წილი სააქციო კაპიტალს უკავია , ხოლო შემდეგ რეინვესტირების მაჩვენებელს 84.4 მილიონი აშშ. დოლარით.

სტატისტიკიდან გამომდინარე შესაძლებელია რომ წელს მეტი წილი საქქციო კაპიტალი განხორციელდაბა.

ცხრილი 4:

ძირითადი ინვესტორი ქვეყნები 2017-2018 წლებში

	2017	2018
სულ	1894.5	1232.4
მათ შორის:		
ირლანდია	0	0.5
გაერთიანებული სამეფო	247.4	203.7
აშშ	79.7	103.7
იაპონია	18.4	5.3
პანამა	52.8	74.7
აზერბაიჯანი	456	240
რუსეთი	43.7	60.1
დანია	-4.5	15.3
დანარჩენი ქვეყნები	992	529

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

ამ მონაცემების მიხედვით 2017-2018 წლებში აზერბაიჯანის მიერ განხორციელდა ყველაზე მეტი ინვესტიცია, მეორე ადგილზე კი გაერთიანებული სამეფოა მიუხედავადი იმისა რომ 2017 წლის მონაცემთან შედარებით ინვესტირებული თანხის ოდენობა მნიშვნელოვნად შემცირებულია 2018 წელს.

მატება შეიმჩნევა აშშ-ის ინვესტირებულ თანხაშიც 2017 წელს 79.7 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა ხოლო 2018 წელს გაიზარდა 103.7 აშშ. მილიონი დოლარამდე.

ყველაზე ცოტა ინვესტიცია 2018 წელს ირლანდიის მიერ განხორციელდა 0.5 მილიონი აშშ. დოლარის ოდენობით.

ასევე მეტად საინტერესო მაჩვენებლი აქვს დანიას რომელიც -4.5 აშშ. დოლარიდან 15.3 აშშ.დოლარამდე გაიზარდა 2017 წელთან შედარებით.

დიაგრამა 3:

უმსხვილესი ინვესტორი ქვეყნები 2019 წლის პირველ კვარტლის მონაცემებით



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური (წინასწარი მონაცემები)

2019 წლის პირველი კვარტლის მონაცემებით ლიდერი ქვეყანა ირლანდია რომელიც პინასწარი მონაცემებით 47% ით ლიდერობს. გაერთიანებული სამეფო წელსაც აქტიურად განაგრძობს ინვესტიციების განხორციელებას საქართველოში და ახლა ის 15% ით იკავებს მეორე ადგილს.

უფრო მეტი თვალსაჩინობეითვის განვიხილოთ ბოლო წლებში განხორციელებული მაშტაბური პროექტები.

ყველაზე მსხვილი პროექტების ათეული რომელიც საქართველოში უცხოელი ინვესტორების მიერ განხორციელდა:

1. სავაჭრო კომპლექსი „ისთ ფოინთი“

2. თბილისის ზღვის ახალი უბანი - ეს არის „ჰუალინგის საერთაშორისო ეკონომიკური ზონის“ პროექტი, რომელიც მდებარეობს თბილისის ზღვის მიმდებარედ 420 ჰექტარ მიწის ნაკვეთზე. გეგმის მიხედვით, დამტკიცებული ფართის მშენებლობის დასრულება იგეგმება 10 წლის განმავლობაში, პირველი სამი წლის მინიმალური საინვესტიციო თანხა განსაზღვრულია არანაკლებ 150 მილიონი აშშ დოლარის.

პროექტი მოიცავს მრავალბინიან საცხოვრებელ კომპლექსს, სააგარაკო სახლებს, ტურისტულ-დასასვენებელ ზონას, 5-ვარსკვლავიან სასტუმროს, საერთაშორისო სავაჭრო და ლოჯისტიკურ ცენტრს, საბაჟო საწყობს და ოლიმპიურ სოფელს. თბილისის ზღვის ახალი უბანი „ჰუალინგ ჯგუფის“ ყველაზე მასშტაბური პროექტია საქართველოში.

3. სასტუმრო “მერკური” თბილისში - ოთხვარსკვლავიანი სასტუმრო „მერკური“ ორთაჭალაში საერთაშორისო ჰოლდინგის - „მაქრო ქონსთრაქშენის“ ინვესტირებით აშენდა. პროექტში 16 მილიონი დოლარი ჩაიდო. სასტუმრო „მერკური“ მსოფლიოს 51 ქვეყანაშია წარმოდგენილი. თბილისში 2015 წლის ზაფხულში გაიხსნა.

4. „ჯინო ფერედაისი“ - გასართობი ცენტრი და გრანდიოზული აკვაპარკი თბილისში. პროექტში 28 მილიონი დოლარის ინვესტიცია განხორციელდა. ინვესტორია ნოდარ გიორგაძე, რომელსაც სლოვაკეთში აქვს ბიზნესი.

5. „ტოიოტა ცენტრი თეგეტა” - ცენტრი განთავსებულია 10 000 კვ.მ ფართის მიწის ნაკვეთზე და მოიცავს ადმინისტრაციულ ოფისს, შოურუმსა და სერვისცენტრს. ცენტრი დღეში საშუალოდ 250 ავტომობილის მომსახურებაზეა გათვლილი. აღნიშნული პროექტი განხორციელდა „თიბისი ბანკისა“ და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის (EBRD) მხარდაჭერით. ცენტრში ინვესტირებულია 15 მილიონამდე ლარი, დასაქმებულია 120 ადამიანი.

6. საცხოვრებელი კომპლექსი „მწვანე ბუდაპეშტი“ - საცხოვრებელი კომპლექსი თბილისში, საბურთალოზე 11.700 მ2 ფართობის ტერიტორიას იკავებს. კომპლექსი

ევროსტანდარტის იზოლირებულ კომპლექსს წარმოადგენს. საერთაშორისო ჰოლდინგმა „მაქრო ქონსთრაქშენი“ კომპლექსში თითქმის 45 მილიონი დოლარის ინვესტიცია განახორციელა.

7. „დირსი“ - ყველაზე მასშტაბური საცხოვრებელი კომპლექსი საქართველოში, რომელიც აერთიანებს 20 კორპუსს, 39 ბლოკსა და 4 898 ბინას დასრულებული რემონტით. მშენებლობის პირველი ეტაპი 2014 წელს დასრულდა, ხოლო მთლიანი კომპლექსი 2016 წელს ბარდება. პროექტის ინვესტიცია აზერბაიჯანულ კომპანია AS Group Investment-ს ეკუთვნის. საცხოვრებელი კომპლექსის პროექტში 170 მილიონი დოლარის ოდენობის ინვესტიცია განხორციელდა.

8. თბილისი მოლი - სავაჭრო ცენტრი თბილისში, რომელიც 2012 წელს გაიხსნა. „თბილისი მოლს“ შ.პ.ს „რაკიინ აფთაუნ დეველოფმენთი“ მართავს, რომელიც თავის მხრივ, შ.პ.ს „რაკიინ დეველოფმენთს“ და IFC-ს (საერთაშორისო საფინანსო კომპანიას) ეკუთვნის. თბილისი მოლის პროექტში 115 მილიონი აშშ დოლარის ინვესტიცია განხორციელდა.

9. რიქსოს ბორჯომი - სასტუმრო და დასასვენებელი კომპლექსი ბორჯომში. ინვესტორია შპს „ყაზმუნაიგაზ სერვისი". ჯამურმა ინვესტიციამ 48 მილიონი დოლარი შეადგინა. სასტუმრო 2014 წელს გაიხსნა და ერთ-ერთ ყველაზე მსხვილ სასტუმროს წარმოადგენს საქართველოში.

10. ფოთის პორტი - 2011 წლის აპრილში „ეიპიემ ტერმინალსმა“ საქართველოში ყველაზე დიდი პორტი - „ფოთის საზღვაო ნავსადგური“ შეისყიდა. კომპანიამ 70 მილიონ დოლარზე მეტი ინვესტიცია ჩადო პორტის ინფრასტრუქტურის განახლებისთვის.[თ.ჯიჯავაძე 2015]

ეს ის პროექტები რომეიც ფართო მაშტაბით განხორციელდა და მნიშვნელოვან ინვესტიციას წარმოდგენ ქვეყნისთვის. ამ პროექტემბა არამარტო ეკონომიკური სარგებელი მოუტანეს ქვეყანას არამედ ხელიშეუწყვეს ტურისტული სექტორის განვითარებასაც მაგალითად რიქსოს ბორჯომის პროექტმა.

ცხრილი 5:

პირდაპირი უცხოურ ინვესტიციები ეკონომიკის სექტორესბის მიხედვით 2017-2018წლებში (მლნ. აშშ დოლარი)

	2017	2018
სულ	1894.5	1232.4
სხვა კომუნალური, პერსონალური და სოციალური მომსახურება	24.7	40.2
საფინანსო სექტორი	302.6	277.9
ტრანსპორტი	472.6	209.9
სასტუმროები და რესტორნები	72.2	72.3
დამამუშავებელი მრეწველობა	98.6	142.3
კავშირგაბმულობა	17	-35.2
სამთომოპოვებითი მრეწველობა	51.8	66.7
მშენებლობა	283.1	103.6
სოფლის მეურნეობა, თევზჭერა	12.4	15.9
ჯანმრთელობის დაცვა და სოც. დახმარება	7.2	13.2
დანარჩენი სექტორები	552.3	325.6

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

ბოლო 2 წლის მონაცემების საფუძველზე თამამად შეიძლება იქთვას რომ ინვესტორებისთვის მიმზიდველ სფეროს წარმოადგენს საფინასო სექტორი, ტრანსპორტი და მშენებლობა.

გარდა ამისა ასევე გამოიკვეთა ის ნაკლებად მიმზიდველი სფეროები რომლებშიც იშვიათად ან მცირედით ხორციელდება პირდაპირი უცხოური ინვესტიცირები

მაგალითად: ჯანმრთელობის დაცვა და სოცლიალური დახმარება, სოფლის მეურნეობა და თევზჭერა.

დიაგრამა4:

უმსხვილესი პირდაპირი უცხოური ინვესტიციები ეკონომიკის ესქტორების მიხევით 2019 წლის 1 კვარტალში



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური (წინასწარი მონაცემები)

2019 წლის 1 კვარტლის მონაცემებით ისევ ლიდერობს სხვა კომუნალური, პერსონალური და სოციალური მომსახურება რომლეიც საქ.სტატის მონაცემებით 50% იკავებს მთლიან მოცულობაში.

საბოლოო ჯამში თუკი 2017-2018 და 2019 წლის 1 კვარტლის მონაცემებს შევაჯამებთ , ცალსახად ჩანს რომ ყოველწლიურად ლიდეროს სხვა კომუნალური, პერსონალური და სოციალური მომსახურება, საფინანსო სექტორი და სატრანსპორტო სექტორი.

საქ.სტატის მონაცემების მიხედვით სწორედ ეს სექტორები არის ინვესტორებისთვის მიმზიდველი.

ამ ონაცემების საფუძველშე შესაძლებელია ჩამოვაყალიბოთ დასკვნა რომ, საქართველო არის მიმზიდველი ქვეყანა ინვესტორებისთვის.

გარდა ამისა ინვესტიციებს სტაბილურად ახორციელებენ ძირითადად ევროპის ქვეყნები. დინამიკას თუ შევხედავთ ჩავარდნა მხოლოდ 2009-2010 წლებში გვქონდა რაც გამოწველი იყო აგვისტოს ომით რუსეთთან. იმიჯის შელახვის შემდგომ გარკვეული დრო იყო საჭირო რომ ისევ ნდობა მოგვეპოვებინა საერთაშორისო ბაზარზე.

დაახლოებით 1 წელში კი კვლავ გაიზარდა ინვესტიციების განხორციელბის მაჩვენებელი რასაც მოწმობს 2011 წელს განხორციელბული 1129.9 მილიონი აშშ. დოლარი.

ევროკავშირის წევრი ქვეყნების მიერ 1997-2012 წლებში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობა $4,294 მილიარდს აღემატება. მათ შორის, ყველაზე დიდი ფინანსური შემოდინება დიდი ბრიტანეთიდან ფიქსირდება - 1 მლრდ აშშ დოლარზე მეტი, მას მოსდევს ნიდერლანდები - $800 მილიონზე მეტი ინვესტიციით, მესამე ადგილს კი ჩეხეთი იკავებს - $400 მილიონზე მეტი პირდაპირი უცხოური ინვესტიციებით.

სამივე ევროპელ ინვესტორს, ჯამში 2,2 მლრდ აშშ დოლარზე მეტი პირდაპირი უცხოური ინვესტიციები აქვთ განხორციელებული, რაც 1997-2012 წლების მთლიანი საინვესტიციო ნაკადების 1/5-ს მეტს აღემატება.

1) გაერთიანებული სამეფო

ზემოთ მოცემულ სამ ქვეყანას შორის, პირველმა გაერთიანებულმა სამეფომ განახორციელა საქართველოში პირდაპირი უცხოური ინვესტიციები. 1997 წელს დიდი ბრიტანეთიდან განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობამ

იმ დროისთვის საკმაოდ დიდი თანხა - თითქმის 25 მლნ აშშ დოლარი შეადგინა.

ამ მაჩვენებლით დიდი ბრიტანეთი 1997 წელს მხოლოდ აშშ-სა ($97 მლნ) და ავსტრალიას ჩამორჩა ($27 მლნ) და რიგით მესამე უმსხვილესი ინვესტორი გახდა საქართველოში. აგრეთვე აღსანიშნავია, რომ მოცემულ წელს პირდაპირმა უცხოურმა ინვესტიციებმა საქართველოში სულ $242 მილიონი შეადგინა.

გაერთიანებული სამეფოს დაინტერესება საქართველოს ეკონომიკის მრავალ სექტორში ვლინდება, განსაკუთრებით კი (1997-2012 წწ): საფინანსო ($80 მლნ-ზე მეტი), სასტუმროები და რესტორნების ($32 მლნ) და ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის ბიზნესებში ($36 მლნ).

გაერთიანებული სამეფოსათვის საქართველოს ეკონომიკაში ყველაზე ნაკლებ საინტერესო სფეროები გახლავთ: ენერგეტიკა ($70.5 ათასი) და კონსულტირება ($0.5 მლნ). ხოლო კომპანიები, რომლებშიც გაერთიანებული სამეფოს ინვესტორები აბანდებენ სახსრებს, გახლავთ შემდეგი შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებები: კავკასუს ონლაინი; ტავ ურბან საქართველო; კანარგო - ჯორჯია; საქართველოს ლატარიის კომპანია; მოტოროლა ლიმითედის წარმომადგენლობა საქართველოში; ბრითიშ ამერიქან ტობაკო ჯორჯია ლიმითედის; ჯი ემ თი სასტუმროები; ევორდი; კანარგო - ჯორჯია; იორის ველის ნავთობი და გაზი; ეარ ბიპი ჯორჯია, აგრეთვე, სააქციო საზოგადოებები: ხიდმშენი; ქართული შაქარი და სხვა.

2) ჰოლანდია რიგით მეორე ინვესტორი - ჰოლანდია, საქართველოში პირველად 2000 წელს გამოჩნდა და მისმა პირდაპირმა უცხოურმა ინვესტიციებმა ჩვენს ქვეყანაში მოკრძალებული - 4,5 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. საინტერესოა, რომ ნიდერლანდების აქტიურობა საქართველოში არასტაბილურ ხასიათს ატარებს: პირველ ორ წელიწადში აქტიურობის შემდეგ, მომდევნო სამი წელი პირდაპირი უცხოური ინვესტიციები ნიდერლანდებიდან საქართველოში საერთოდ არ განხორიციელებულა და მხოლოდ 2005 წელს , მათ საქართველოთი დაინტერესება ისევ გამოიჩინეს ($0.5 მლნ). 2006 წლიდან კი ინვესტიციებმა უკვე არა სიმბოლური, არამედ სოლიდური სახე მიიღო და 2007 წელს ინვესტიციების მოცულობით ნიდერლანდები #I ინვესტორი გახდა საქართველოში, ისევე როგორც 2011 წელსაც.

ნიდერლანდების დაინტერესების სფერო საქართველოს ეკონომიკაში საკმაოდ დივერსიფიცირებულია და მრავალ სფეროს მოიცავს. განსაკუთრებულ ყურადღებას კი იმსახურებენ: ენერგეტიკა - $128 მლნ; ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა - $143 მლნ;საფინანსო სექტორი - $65 მლნ; დანარჩენი სექტორები (განათლება; კომუნალური, სოციალური და პერსონალური მომსახურება) - $46 მლნ; მცირეა ნიდერლანდების დაინტერესება: სოფლის მეურნეობის ($1 მლნ); ჯანდაცვის ($1,9 მლნ); მშენებლობის ($2,4 მლნ) და სხვა სფეროებით.

ჰოლანდიელი ინვესტორების დაინტერესების სფერო გახლავთ (2009 წელს – 38 კომპანია; 2010 წელს – 50; 2011 წელს – 66; 2012 წელს – 88) შემდეგი შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებები: ჯეოსელი; შავი ზღვის ტერმინალი; ლუკოილჯორჯია; ქართული ცემენტი; რომპეტროლ საქართველო; მტკვარი ენერგეტიკა;ჯეოსთილი; აჭარისწყალი ჯორჯია; აიდიეს ბორჯომი ბევერიჯიზ კომპანის საქართველოს ფილიალი; ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯია; კრაფტ ფუდს საქართველო; ირაო; ერნსტ ენდ იანგი; რუსთავის ფოლადი და სხვ. აგრეთვე, სააქციო საზოგადოებები: ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯია; გაერთიანებული ტელეკომი; თელასი; ლომისი; ელმავალმშენებელი; ხრამჰესი-2; სასტუმრო მედეა; მადნეული და მრავალი სხვ

3) ჩეხეთი 1997-2012 წლების მიხედვით, რიგით მესამე ინვესტორი - ჩეხეთი კი სულ ახლახან, 2003 წელს გამოჩნდა ქართულ საინვესტიციო ჰორიზონტზე და ბოლო წლების განმავლობაში სტაბილურად იღებს მონაწილეობას საინვესტიციო პროექტების განხორციელებაში.

აღსანიშნავია, რომ საკმაოდ მცირეოდენი ინვესტიციების განხორციელების შემდეგ, 2007 წელს ჩეხეთი ერთბაშად 227 მლნ აშშ დოლარზე მეტი ინვესტიციით შემოვიდა ქართულ ეკონომიკაში და ამ მაჩვენებლით მხოლოდ ნიდერლანდების სამეფოს ჩამორჩა.

ჩეხეთიდან განხორციელებული ინვესტიციები ძირითადად ჰიდროენერგეტიკას უკავშირდება. ყველაზე დიდი ინვესტიცია ამ სფეროში 2011 წელს განახორციელეს - $45 მლნ (სულ - $77 მლნ). 2006 წლის 16 ივნისს, საქართველოს მთავრობამ პრემიერ ნოღაიდელის მეშვეობით განაცხადა, რომ „ენერგო პრო ჯორჯიამ“ გაიმარჯვა

ენერგეტიკულ ტენდერში და $312 მილიონად შეიძინა 2 სადისტრიბუციო კომპანია (საქართველოს გაერთიანებული სადისტრიბუციო კომპანია - $85 მლნ და აჭარის ენერგოკომპანია - $30 მლნ) და 6 ჰესი (ძევრულჰესი - $20 მლნ; ლაჯანურჰესი - $66 მლნ; გუმათჰესი - $45 მლნ; შაორჰესი - $16 მლნ; რიონჰესი - $44 მლნ), დამატებით მას ტარიფების გაორმაგების უფლებაც მიენიჭა. 2008-2012 წლებში „ენერგო პრო ჯორჯიასთან" საქართველოს მთავრობამ 13 ხელშეკრულება გააფორმა, საიდანაც 12 შემთხვევაში ენერგოკომპანიას სიმბოლურ ფასად - $1000 გადაეცა სხვადასხვა სახის ქონება: გორში, კასპში, ქარელში, მცხეთაში, ლანჩხუთსა და გარდაბანში (30-ზე მეტი მიწის ნაკვეთი და ელექტროგადამცემი ხაზები); ქუთაისში - სხვადასხვა მისამართზე, 23 ათასი კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთები და მასზე დამაგრებული შენობა-ნაგებობები, ფოთში, ჭავჭავაძის ქუჩაზე - 9 980 მ2 მიწის ნაკვეთი. ჩეხური ინვესტიციები აგრეთვე განხორციელდა (2009 წელს – 4 კომპანია; 2010 წელს – 6; 2011 წელს – 8; 2012 წელს – 12) ისეთ ორგანიზაციებში როგორიცაა: ბლოკჯორჯია; ჩეხური ლუდის ბარი ბუდვაიზერი; სკაი სერვისი; ჯინო-პარკი; როსს ჰოლდინგ საქართველო; მწიგნობართუხუცესი და სხვ.

განხილული საკითხების მეშვეობით შესაძლებელია ჩამოვაყალიბოთ დასკვნა რომ საქართველო არის ერთ-ერთი მიმზიდველი ქვეყანა ინვესტორებისთვის.

აქ მათ საშუალება აქთვთ ყველაზე განვითარებად პროექტებში დაბანდონ ინვესტიცია. გარდა ამისა ქვეყანას აქვს ხელშემწყობი პირპობები ბიზნესი განვითარების კუთხით. იაფი სამუშოა ძალა, მარტივი ბიზნეს რეგისტრაცია და ყველაფერი ერთად ქმნის მარტივ პროცედურებს რის გამოც ინვესტორებს სურვილი უჩნდებათ ინვესტიციური პროექტები განახორციელონ.

2.2 საქართველოში პირდაპირი უცხოური ინვესტივიების მოზიდვის განმაპირობებელი ფაქტორები

საქართველო გეოპოლიტიკური მდებარეობიდან გამომდინარე წარმოადგენს ეკონომიკურ გზაჯვარედინს. ქვეყანაში უცხოური ინვესტიციების შემოდინება 2004 წლიდან მაღალი ტემპებით ხასითდება, მან 2007 წელს 2 მლრდ. აშშ დოლარს გადააჭარბა.

2008 წელს საყოველთაოდ ცნობილი ფაქტის გამო ინვესტიციბმა საგრძნობლად იკლო , რამაც მნიშვნელოვნად გააუარესა ქვეყნის იმიჯი. საქართველოს ხელისუფლების მიერ განხორციელბული ღონისძიებებით და საერთააშორისო ორგანიზაციების დახმარებით დაიწყო ისევ ინვესტიციების ზრდა.

საქართველო ერთ-ერთი საუკეთესო ქვეყანაა მსოფლიოში ინვესტიციების მოსაზიდად, რასაც აღიარებს მრავალი საერთაშორისო ორგანიზაციაც, რაც უფრო სარწმუნოსა და სანდოს ხდის მის რეპუტაციას. საქართველო ერთ-ერთი ყველაზე ღია ქვეყანაა უცხოური კაპიტალის მიმართ.

ინვესტიციების მოსაზიდად საჭიროა სხვა ქვეყნებზე მეტად მიმზიდველი ბიზნეს გარემო გქონდეს. ქვეყნების ბიზნეს გარემოს რამდენიმე გავლენიანი ორგანიზაცია იკვლევს და ინდექსებზე დაყრდნობით, შესაბამის რეიტინგებს აქვეყნებს. თუმცა აღნიშნულ რეიტინგებს შორის გამოყოფს ბიზნესის კეთების სიმარტივის (Doing business) და ეკონომიკური თავისუფლების (ჰერიტაჯის ინდექსი) რეიტინგებს.

პირველ რეიტინგში საქართველო მე-16 ადგილზე (რეგიონში მე-3), ხოლო მეორეში მე-13 ადგილზეა (რეგიონში მე-5). [Forbes georgia]

დემოკრატიის ინდექსით, საქართველო მსოფლიოში 78-ე ადგილს იკავებს და ჰიბრიდულ რეჟიმად არის მიჩნეული. ინდექსის შეფასების კრიტერიუმებიდან საქართველოს ყველაზე დაბალი ქულა მთავრობის ფუნქციონირებასა და პოლიტიკურ კულტურაში აქვს.

მიუხედავად იმისა, რომ ეკონომიკური თავისუფლების ინდექსით საქართველო მსოფლიოში მე-13 ადგილზეა, ამ ინდექსის ძალიან მნიშვნელოვანი კრიტერიუმით -

საკუთრების უფლების დაცვით საქართველო მსოფლიოში 77-ე ადგილზეა. საიმედოდ დაცული საკუთრება კი ბიზნეს გარემოს მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს.

ინვესტორებს იზიდავს საქართველოს გეოგრაფიული მდებარეობა. ამ გარემოების დამსახურებაა ის, რომ ყველაზე მეტი ინვესტიცია ტრანსპორტის სექტორში შემოდის.

კიდევ ერთი გარემოება, რაც საინვესტიციო მიმზიდველობაზე უარყოფითად მოქმედებს, არის განათლების დაბალი დონე, რაც კვალიფიციური სამუშაო ძალის დეფიციტში აისახება. ამას ემატება ინგლისური ენის არცოდნა.

საქართველოს საინვესტიციო უპირატესობას ანიჭებს ლიბერალური საგარეო სავაჭრო რეჟიმი (განსაკუთრებით, ხელშეკრულებები თავისუფალი ვაჭრობის შესახებ) და უცხოური კაპიტალის გადაადგილებაზე კონტროლის არარსებობა. ასევე, საკმაოდ ლიბერალური სავიზო რეჟიმი (90-მდე ქვეყნის მოქალაქეს უვიზოდ შემოსვლა შეუძლია).

საქართველო აქტიურად განაგრძობს ინვესტიციების მოზიდვას და ამისთვის შემუშავებული აქვს ლიბერალური საგადასახადო სისტემა:

ცხრილი 7:

საქართველოში მოქმედი გადასახადების სახეები

გადასახადის სახე	საპროცენტო განაკვეთიგანაკვეთი
საშემოსავლო გადასახადი	დასაბეგრი შემოსავლის 20 %
მოგების გადასახადი	დასაბეგრი მოგების 15 %
დღგ	დასაბეგრი ბრუნვის ან საქონლის იმპორტის თანხის 18 %;
ქციზი	1) აქციზური საქონელი (მაგ. სპირტიანი სასმელები, ლუდი, მსუბუქი ავტომობილები, სიგარეტი, ნავთობპროდუქტები) იბეგრება დიფერენცირებული განაკვეთებით;

	2) მობილური საკომუნიკაციო მომსახურების განაკვეთი შეადგენს დასაბეგრი ოპერაციის თანხის 10 %-ს
იმპორტის გადასახადი	საგადასახადო კოდექსის 197-ე მუხლის 1 პუნქტით განსაზღვრული საქონლის სატარიფო ღირებულება იბეგრება - 12%-ით; მე-2 პუნქტით - 5%-ით; მე-3 პუნქტით - დიფერენცირებული განაკვეთებით
ქონების გადასახადი	საწარმოსთვის/ორგანიზაციისთვის ქონების გადასახადის წლიური განაკვეთი - დასაბეგრი ქონების ღირებულების არა უმეტეს 1 %. ფიზიკური პირის დასაბეგრ ქონებაზე გადასახადის წლიური განაკვეთი დიფერენცირებულია გადასახადის გადამხდელის ოჯახის მიერ საგადასახადო წლის განმავლობაში მიღებული შემოსავლების მიხედვით: 40 000-დან-100 000 ლარამდე შემოსავლის მქონე ოჯახებისათვის - საგადასახადო პერიოდის ბოლოსთვის დასაბეგრი ქონების საბაზრო ღირებულების არანაკლებ 0.05 %-ისა და არა უმეტეს 0.2 %-ისა; 100 000 ლარის ან მეტი შემოსავლის მქონე ოჯახებისათვის - საგადასახადო პერიოდის ბოლოსთვის დასაბეგრი ქონების საბაზრო ღირებულების არანაკლებ 0.8%-ისადა არაუმეტეს 1%-სა.

საქართველოს საგადასახადო სისტემა არის ერთ-ერთი მიმზიდველი ფაქტორი ინვესტორებითვის.

დღეისათვის საქართველოში ინვესტიციების მარეგულირებელი რამდენიმე კანონი მოქმედებს:

1: „საქართველოს კანონი ინვესტიციების სახელმწიფო მხარდაჭერის შესახებ“- ა ამ კანონის მიზნებია ინვესტიციების განხორციელების ხელშეწყობა ინვესტიციების დაბანდებისა დასამეწარმეო საქმიანობისათვის აუცილებელი პროცედურების გაუმჯობესებით და დამატებითი სამართლებრივი რეჟიმის შექმნით.

2.“საქართველოს კანონი საინვესტიციო საქმიანობის ხელშეწყობისა და გარანტიების შესახებ“-ეს კანონი განსაზღვრავს საქართველოს ტერიტორიაზე როგორც

უცხოური, ისე ადგილობრივი ინვესტიციების განხორციელების სამართლებრივ საფუძვლებსა და მათი დაცვის გარანტიებს. ამ კანონის მიზანია, დაადგინოს ინვესტიციების ხელშემწყობი სამართლებრივი რეჟიმი.

3.“საქართველოს კანონი თავისუფალი ტურისტული ზონების განვითარების ხელშეწყობის შესახებ“- ამ კანონის მიზანია საქართველოში ტურიზმის განვითარება და მეწარმეობის ხელშეწყობა, რისთვისაც ეს კანონი ადგენს პირობებს თავისუფალ ტურისტულ ზონებში სასტუმროების მშენებლობისა და ფუნქციონირებისათვის, ასევე საგადასახადო და სხვა შეღავათებს.

4.“საქართველოს კანონი თავისუფალი ინდუსტრიული ზონების შესახებ“- კანონის რეგულირების სფერო და მიზანი:

1. ეს კანონი ადგენს თავისუფალი ინდუსტრიული ზონების შექმნისა და ლიკვიდაციის წესს, განსაზღვრავს თავისუფალი ინდუსტრიული ზონების მართვისა და ამ ზონების ფარგლებში მმართველობისა დამომსახურების/ზედამხედველობის ორგანოების შექმნისა და საქმიანობის წესს, ადგენს თავისუფალი ინდუსტრიული ზონის საწარმოებისათვის დამატებით პირობებს, საგადასახადო შეღავათებსა და ამ ზონების საქმიანობასთან დაკავშირებულ სხვა საკითხებს.

2. ამ კანონის მიზანია, შეიქმნას მიმზიდველი გარემო ეკონომიკური საქმიანობისათვის, ხელი შეეწყოს კაპიტალისა და ტექნოლოგიების შემოსვლას საქართველოში.

ვინაიდან პირდაპირი უცხოური ინვესტიციები წაროეადგენს ქვეყნის ეკონომიკის მნიშვნელოვან ელემენტს სახელმწინო ცდილობს ლიბერალური საგადასახადო სისტემით და წამახალისებელი პროექტებით მიიზიდოს უფრო მეტი ინვესტორი.

თავისუფალი ეკონომიკური ზონების შემორების მიზანიც სწორედ უფრო მეტი ინვესტორის მოზიდვა გახლავთ.

გარდა ამ ფაქტორების არსებოს მთელი რიგი დეტერმინანტები რის გამოც იზიდავთ ინვესტორებს საქართველო.

საკმაოდ საინტერესო კვლევა არსებოსბს თურქი ეკონომისტის, ფარუქ გურსოის მიერ , რომელიც 2006 წელს განახორციელა. მან სხვა და სხვა დარგის მცირე (8 კომპანია),

საშუალო (17 კომპანია) და დიდი (38 კომპანია) ზომის კომპანიის გამოკითხვის საფუძველზე, მეტად საინტერესო შედეგებს მიაკვლია.

კვლევის თანახმად, საქართველოში ინვესტირების მოტივები შემდეგია:

1. გეოგრაფიული მდებარეობა - 24
2. ცარიელიბაზრის ათვისება - 19
3. საკანონმდევლობაზა- 9
4. იაფისამუშაოძალა - 8
5. სატრანსპორტოჰაბი - 6
6. თავისუფალიბაზარი - 3
7. დაბალი კორპორაციული გადასახადი - 2
8. სხვა - 9

უფრო დეტალური დაჯგუფების ჯგუფების შედეგად კი გამოკითხულთა დაინტერესება შემდეგშია:

1. ცარიელი ბაზარი - 35 კომპანია;
2. იაფი სამუშაო ძალა - 27 კომპანია;
3. გეოგრაფიული მდებარეობა - 24 კომპანია;
4. სხვა - 10 კომპანია.

ნათელია, რომ ყველაზე მეტად უცხოელ ინვესტორებს საქართველოში ადგილ მდებარეობის და იაფი სამუშაოძალის კომბინაცია იზიდავთ, 53-მაკომპანიამ კი საქართველოში თავისი საქმიანობის გაფართოების სურვილი გამოთქვა.

კვლევის შედეგად მიღებული მონაცემების თანახმად, ყველაზე დიდი პრობლემა ბიზნესის წარმოებისას საქართველოში იყო (0 - არ არის პრობლემა; 4 - მაქსიმალურად პრობლემატურია):

1. სამუშაო ძალის დაბალი უნარ-ჩვევები და განათლება (კოეფიციენტი - 2,3).
2. კრიმინალი, ქურდობა და განუკითხაობა (1,97).
3. ეკონომიკური და მარეგულირებელი პოლიტიკა (1,92).
4. საპროცენტო განაკვეთი (1,66).
5. ელექტროენერგია (1,53).

საქართველოში ბიზნესის დასაწყებად საკმარისია 4 დღე, მაშინ, როდესაც პოლონეთში ამისათვის საჭიროა 33 დღე, რუსეთში - 31 დღე, საბერძნეთში - 22 დღე, ბულგარეთში - 20 დღე, სომხეთში - 18 დღე, თურქეთში - 8 დღე.

ბიზნესის დაწყების პროცედურები ყველაზე მეტხანს - თითქმის 6 თვეზე მეტს მოითხოვს ანგოლასა (263 დღე) და ჰაიტიში (212 დღე).

2008 წელს მიღებული კანონით, თბილისში მიწის ფლობასთან დაკავშირებული სარეგისტაციო საკითხები ძალიან გამარტივდა და დაჩქარდა. შესაძლებელია მიწის როგორც იჯარით აღება, ისე ყიდვა და ამკუთხით არ არსებობს შეზღუდვა მიწის ფართობთან დაკავშირებით.

მიწის იჯარით აღებისათვის საქართველოში 1 კვირა ასაჭირო, პოლონეთშიკი, მაგალითად, ასეთი პროცედურა 5 თვეს საჭიროებს.

სახელმწიფო საკუთრებაში არსებულიმიწის იჯარით გაცემას აქართველოში 50 დღეშიაშ ესაძლებელი, ხოლობულგარეთში, თითქმის 1 წლამდე (351 დღე) ხანგრძლივდება. [თამარ დადიანი , 2015 გვ. 1]

საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია „საქართველო 2020“ - ის მიხედვით “ საინვესტიციო და ბიზნესგარემოს გაუმჯობესების მიზნით განსახორციელებელი პოლიტიკის მიმართულებები ბიზნესის დაწყებისა და წარმოებისთვის საქართველოს მთავრობა ყველაადამიანს თანაბარ შესაძლებლობას შეუქმნის და ამ პროცესში მმართველობის გამჭვირვალობას უზრუნველყოფს. იგი იქნება საკუთრების უფლების დაცვისმთავარი გარანტი. ამავე დროს ხელს შეუწყობს ბიზნესომბუდსმენის როლის გაძლიერებას საკუთრების უფლების დაცვისა და კომერციული დავის გადაწყვეტის საკითხებთან მიმართებით.

საქართველოს მთავრობის საგადასახადო პოლიტიკა უზრუნველყოფს კერძო სექტორისა და უცხოური ინვესტიციების მოსაზიდად, ასევე, ბიზნესის დაწყებისა და განვითარებისათვის მიმზიდველი და სტაბილური საგადასახადო გარემოს შექმნას.

„საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმების“ფარგლებში განხორციელდება საბაჟო კანონმდებლობის დაახლოება ევროკავშირის კანონმდებლობასთან, შემცირებული იქნება საქართველოს საგადასახადო

კოდექსში ცვლილებების შეტანა, რაც შესაბამისობაშია „საქართველოსა და ევროკავშირს შორისასოცირების შესახებ შეთანხმების“ ფარგლებში საქართველოს მიერ აღებულვალდებულებთან.

გადასახადის გადამხდელის ყველა ძირითადი ვალდებულება განისაზღვრება მხოლოდ კანონით. გამარტივდება გადასახადის ადმინისტრირება დაგანხორციელდება საგადასახადო სანქციების ოპტიმიზაცია. მოხდება ცალკეულიკატეგორიის ეკონომიკური დანაშაულის დეკრიმინალიზაცია.

ეტაპობრივად შემცირდება საგადასახადო კოდექსით განსაზღვრული საგადასახადო მოთხოვნისწარდგენის ხანდაზმულობის ვადები. სახელმწიფოსა და ბიზნესს შორისსამართლებრივი ურთიერთობა თანასწორობის პრინციპებს დაეფუძნება.“[სტრატეგია „საქართველო 2020“]

ამ სტრატეგიიდან გამოდინარე მთავრობას დასახული აქვს სამომავლო პერსპექტივები რომელიც ისევდაისევს ბიზნესის ხელსშეწყობას და ეკონომიკის გაძლიერებას ეფუძვნება.

ზემოთ განხილულიდან გამომომდინარე სახელმწოფო კანონის დონეზე ცდილობ ხელი შეუწყოს ინვესტიციების მოზიდვას და ასევე შიდა ბიზნეს გარემოს მისცეს მოტივაცია.

ინვესტორებისათვის მასტიმულირებელი გარემოს შექმნის მიზნით, 2003 წლიდან მოყოლებული, მთავრობამ მრავალი შეღავათი შემოიღო.

შედეგად, სახეზე გვაქვს, ერთი მხრივ, პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობის მნიშვნელოვანი ზრდა, მეორე მხრივ კი, მნიშვნელოვანი საგადასახადო შეღავათები უცხოელი ინვესტორებისათვის.

თავი 3. პირდაპირი უცხოური ინვესტიციები გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებში

3.1. პირდაპირი უცხოური ინვესტიციების განხორციელების განმსაზღვრელი ფაქტორები გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებში

უცხოური ინვესტიციები გლობალიზაციის პროცესის მამოძრავებელ ძალას წარმოადგენს.

უცხოურ ინვესტიციათა ნაკადები განაპირობებს მიმღები ქვეყნის კეთილდღეობის ზრდას ტექნოლოგიათა გადაცემით, სამუშაო ადგილების შექმნით, ექსპორტის მოცულობის გადიდებით, სახელმწიფო შემოსავლების გაუმჯობესებით.

აღნიშნულ ფაქტორთა კომბინაციით იქმნება ძლიერი საგარეო ფაქტორი, რაც ხელს შეუწყობს ადგილობრივი ეკონომიკის ზრდისა და განვითარების პერსპექტივას.

ინვესტიციათა განხორციელბის ერთ-ერთ ფაქტორს კვალიფიციური კადრების არსებობა წარმოადგენს. ქვეყნების კონკურენტუნარიანობის გაუმჯობესება შესაძლებელია სამუშაო ძალის კვალიფიკაციის ამაღლებით.

კაპიტალის დაბანდება ადამიანურ რესურსებში ხელს უწყობს მრეწველობის დარგების განვითარებას, როგორიცაა, მაგალითად: ინფორმაციული ტექნოლოგიები და ბიოტექნოლოგია. აღნიშნული დარგები კი, მოითხოვს უფრო მაღალ კვალიფიციური სამუშაო ძალის არსებობას.

კვალიფიციური ადამიანური კაპიტალის შექმნის შესაძლებლობა მნიშვნელოვანი ფაქტორია ტრანსეროვნული კომპანიებისთვის გადაიტანონ ელექტრონული მსოფლიო კლასის მაღალ ტექნოლოგიური ქარხნების ფილიალები სხვადასხვა ქვეყნებში.

მასპინძელი ქვეყნის მთავრობები ახორციელებენ აქტიურ პოლიტიკას ბიზნესის გამარტივების კუთხითაც, აძლევენ საგადასახადო შეღავათებს რითაც კონკურენციას უწევენ სხვა კონკურენტ ქვეყნებს, რომლებიც აქტიურად ცდილობენ უცხოური ინვესტიციების მოზიდვას.

დიაგრამა 5:

ინვესტიციების მიმღები ტოპ 5 ქვეყანა 2016-2017 წლებში(მლრდ. აშშ დოლარი)



წყარო: UNCTAD, World Investment Report 2018.

ამ დიაგრამის მიხედვით ყველაზე მეტი ინვესტიცია რუსეთის ფედერაციაში განხორციელდა 2016 წელს დაახლოებით 25,3 მილიარდი დილარის ოდენობით , თუმცა მოანცემები გაიზარდა 2017 წელს 37.2 მილიარდ დოლარამდე.

ასევე მნიშვნელოვანი წილის ინვესტიციები განხორციელდა ყაზახეთსი 2016 წელს 4.6 მილიარდის ოდენობით ხოლო 2017 წელს კი 8,1 მილიარდი აშშ დოლარის ოდენობით.

აღსანიშნავია რომ ეს მონაცემები გულისხმობს მხოლოდ პირდაპირ უცხოურ ინვესტიციების მონაცემებს.

დიაგრამა 6:

ტოპ 10 ქვეყანა პირდაპირი უცხოური ინვესტიციებს განხორციელების მიხედვით 2011 და 2016 წლებში(მლრდ. აშშ დოლარი)



წყარო:UNCTAD, World Investment Report 2018.

ამ დიაგრამის მიხედვით პირდაპირი უცხოური ინვესტიციების განხორცილებით ლიდერობს კვიპროსი 2011 წლებშ მან 47 მუილიარდი დოლარის ინვესტიცია განახორციელა, ხოლო 2016 წელს კი 31 მილიარი აშშ დოლარის ოდენობით.

საკმაოდ აქტიურად ახორციელბს ინვესტიციებს გერმანია და საფრანგეთი ორივე წელს 2011 და 2016 წლებში მოწინავე ადგილებს იკავებენ სტატისტიკის მიხედვით.

საყურადღებოა რომ აშშ- მა 2016 წელს 2011 წელთან შედარებით ინვესტირებული თანხოს ოდენობა გაორმაგა.

მეტად მნიშვნელოვანია ინვესტიციების მოტივაციების კლასიფიკაციის შესწავლაც და მათზე მოქმედი ფაქტორების განხილვა.

პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოტივაცია შეიძლება სამ ჯგუფად დავყოთ:

პირველი ჯგუფი - აერთიანებს ინვესტორ კომპანიებს, რომლებიც უცხოეთში ახდენენ ინვესტირებას იმ მიზნით, რომ მიიღონ განსაკუთრებული მნიშვნელობის რესურსები რეალურზე უფრო დაბალი ღირებულებით, ვიდრე საკუთარ ქვეყანაში .

მეორე ჯგუფს - წარმოადგენენ საწარმოები, რომლებიც ინვესტირებას ახორციელებენ რომელიმე კონკრეტულ ქვეყანაში ან რეგიონში, რათა უზრუნველყონ საქონლის ან მომსახურების მიწოდება ამ ქვეყნის ან მეზობელი სახელმწიფოების ბაზრებზე.

მესამე ჯგუფს - მიეკუთვნება ტრანსეროვნული კორპორაციები. ისინი ცდილობენ აითვისონ ისეთი აქტივები, რომლებიც ხელს უწყობენ მათი გრძელვადიანი სტრატეგიული მიზნების მიღწევას.

უცხოური ინვესტიციების განხორციელბის ფაქტორი არის მასპინძელი ქვეყნის გარემო პირობები, რომელიც ზეგავლენას ახდენს უცხოურ ინვესტიციათა ნაკადებზე, აღნიშნული ფაქტორში მიაზრება: ბაზრის მასშტაბი და პოტენციალი, ბუნებრივი რესურსები, მასპინძელი ქვეყნის გახსნილობა და ორმხრივი სავაჭრო გამოცდილება, მაკროეკონომიკური ფაქტორები, ფისკალური დეფიციტი და შრომის ხარჯები.

უცხოური ინვესტიციების ნაკადების ზრდა განვითარებად ქვეყნებში განპირობებულია დაბალი კვალიფიკაციის მუშახელის არსებობით. ისეთ ქვეყნებში სადაც არის ნაკლებად კვალიფიციური კადრები ანაზღაურება არის დაბალი, შესაბამისად ეს ნიშვანს ნაკლებ დანახარჯებს. ინვესტორისთვის კი ნაკლები დანახარჯი არის ერთერთი მნიშვნელოვანი კომპონენტი ინვესტიციის განხორციელბის დროს.

განვითარებული ქვეყნებიდან განვითარებად ქვეყნებში უცხოური ინვესტიციების გადატანაზე გავლენას ახდენს გეოგრაფიული სიახლოვე.

დიაგრამა 7:

პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ტენდენცია პოსტ-საბჭოთა გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებში და მსოფლიოში



წყარო: UNCTAD, World Investment Report 2010

ამ დინამიკის საფუძველზე შესაძლებელია ჩამოვაყალიბოთ რომ პირდაპირი უცხოური ინვესტიციები გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებში უფრო სწრაფი ტემპებით ვითარდება ვიდრე მსოფლიოში.

ამ დიაგრამის მონაცემებში გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებში მოიაზრება: ალბანეთი,სომხეთი, აზერბაიჯანი, ბელორუსია, ბოსნია ჰერცოგოვინა, ბულგარეთი, ხორვატია, ჩეხეთი, ესტონეთი,საქართველო, უნგრეთი, ყაზახეთი, ყირგიზეთი, ლატვია, ლიტვა, მოლდოვა, მონღოლეთი, მონტენეგრო,პოლონეთი, რუმინეთი, რუსეთი, სერბეთი, სლოვაკეთი, სლოვენია, ტაჯიკეთი, თურქმენეთი, უკრაინა და უზბეკეთი.

დიაგრამა 8:

გლობალური პირდაპირი უცხოური ინვესტიციების სექტორების მიხედვით 2014 წელი



წყარო: UNCTAD, World Investment Report 2014

ამ დიაგრამის საფუძველზე შესაძლებელია გამოვყოთ მსოფლიოს დონეზე ინვესტორებისთვის მიმზიდველი სექტორი, ალბათ დამერწუნებით რომ მომსახურების სფერო არის ერთ-ერთი ლიდერი ამ სექტორებში.

გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნების საფუძველზე მომსახურების სფერო ლიდერობს, ხოლო თანაბარი პროცენტულობის მაჩვენებლები გააჩნია წარმოებას და პირველადი მომსახურების სექტორებს.

საკმაოდ საინტერესო მონაცები აქვს განვითარებას აზიას მომსახურების სექტორთან დაკავშირებით რაც 2%- ს შეადგენ 2014 წლის მონაცემებით.

უცხოური ინვესტიციების საქმიანობის მნიშვნელოვანი განმსაზღვრელი ფაქტორებია:

ა) პოლიტიკური არასტაბილურობა რომლიც მიუთითებს მასპინძელ ქვეყანაში შესაძლო ძალადობაზე, სამოქალაქო ომის საშიშროებაზე ან უბრალოდ სუსტი მთავრობის არსებობაზე, რაც შეაფერხებს უცხოური ინვესტიციათა ნაკადებს.

ბ) ქვეყნები პოლიტიკური პასუხისმგებლობით უზრუნველყოფენ საიმედო საკანონმდებლო ბაზას და შესაბამისად ასტიმულირებენ ქვეყანაში უცხოური ინვესტიციების შემოდინებას.

გ) აქტივების სუსტი სამართლებრივი დაცვა ფირმებს უქმნის აქტივების ჩამორთმევის საშიშროებას.

დ) კარგად ფუნქციონირებადი ბაზრებისთვის აუცილებელი ინსტიტუტების დაბალი დონე ზრდის ბიზნესის წარმოების დანახარჯები.

არსებობს უცხოური ინვესტიციების განმსაზღვრელი სხვა დეტერმინანტები, როგორიცაა: მიმღები ქვეყნის იმიჯი, ხელმისაწვდომობა საინვესტიციო ფონდებზე, მართვა, ადამიანური კაპიტალის განვითარება, ურბანიზაცია, თანამიმდევრული და სტაბილური მაკროეკონომიკური და დარგობრივი პოლიტიკა და ა.შ.

უცხოური ინვესტიციების განმსაზღვრელი ტრადიციული დეტერმინანტების მნიშვნელობა თანდათან მცირდება. ამავედროს მასპინძელი ქვეყნის ინფრასტრუქტურის განვითარების ხარისხი, კვალიფიციური სამუშაო ძალის არსებობა, სასურველი ბიზნესგარემოს არსებობა, დაბალი შრომის დანახარჯები, ბუნებრივი რესურსების სიუხვე და სიახლოვე დასავლეთის განვითარებულ ქვეყნებთან, წარმოადგენს უცხოური ინვესტიციების მოზიდვის განმსაზღვრელ ძირითად დეტერმინანტებს.

რომ შევაჯამოთ ზემოთ განხილული საკითხები შესაძლებელია ჩამოვაყალიბოთ დასკვნა რომ ინვესტიციები გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებში უფრო სწრაფი ტემპებით ხიორციელდება.

გარდა ამისა დაინტერესების მიზეზებიდან ძირითადად ადგილმდებარეობა და ეკონომიკური დარგების სწრაფი განვითარება მიიჩნევა.

3.2ინვესტიციების სფეროს მარეგულირებელი ორგანოები საზღვარგარეთის ქვეყნებში

საზღვარგარეთის ქვეყნებში ინვესტიციების სფეროს რეგულირებასა და მონიტორინგს ახორციელებს ეროვნული ბანკი, ინვესტიციების მარეგულირებელი სამსახური, ფასიანი ქაღალდების კომისია და ფინანსური ზედამხედველობის სამსახური.

ჩეხეთსა და სლოვენიაში ინვესტიციების სფეროს ზედამხედველობასა და რეგულირებას ახორციელებს ეროვნული ბანკი .

საფრანგეთში, ავსტრიაში, ხორვატიასა და ლიტვაში, როგორც საინვესტიციო სფეროს, აგრეთვე სადაზღვევო ინდუსტრიის, საპენსიო ფონდებისა და ფასიანი ქაღალდების ბაზრის რეგულირება და მონიტორინგი ხდება სახელმწიფო მარეგულირებელი ორგანოს ფინანსური ზედამხედველობის სამსახურის მიერ. რუმინეთსა და კიპროსში ინვესტიციების სფეროს არეგულირებს და ზედამხედველობას უწევს ფასიანი ქაღალდების კომისია.

ბულგარეთში, სლოვაკეთში, ლატვიაში, მონტენეგროში, ბოსნია-ჰერცეგოვინასა და აზერბაიჯანში, როგორც საქართველოში, ინვესტიციების სფეროს რეგულირებას უწევს ინვესტიციების მარეგულირებელი სამსახური (სააგენტო და კომისია), რომელიც ანგარიშვალდებულია აღმასრულებელ ხელისუფლებასთან .

ბულგარეთში საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესების, მონიტორინგისა და უცხოური ინვესტიციების მოზიდვის მიზნით, მინისტრთა კაბინეტი ქმნის „ინვესტიციების ხელშეწყობის სააგენტოს“ ,რომელიც დახმარებას უწევს ეკონომიკის, ენერგეტიკისა და ტურიზმის სამინისტროს სახელმწიფო პოლიტიკის გასატარებლად ინვესტიციების სფეროში. სააგენტოს აქვს იურიდიული პირის სტატუსი და მისი ორგანიზაციული სტრუქტურა გაწერილია სააგენტოს დებულებაში, რომელსაც ამტკიცებს მინისტრთა კაბინეტი.

სლოვაკეთში „ინვესტიციებისა და ვაჭრობის განვითარების სააგენტოს“ ქმნის ეკონომიკის სამინისტრო, რომლის მთავარი მიზანია მაქსიმალურად გამოიყენოს ყველა შესაძლებლობა, რათა ქვეყანაში მოიზიდოს უფრო მეტი უცხოური ინვესტიციები და

ხელი შეუწყოს რეზიდენტი კომპანიების კონკურენტუნარიანობის ამაღლებას საერთაშორისო ბაზარზე გასასვლელად, აგრეთვე ხელისუფლებასთან ერთად გადაჭრას მცირე და საშუალო საწარმოების არსებული პრობლემები ინვესტიციების მოზიდვაში.საინვესტიციო პროექტებისგანხორციელებას მონიტორინგს უწევს აღნიშნული სააგენტო.

ლატვიაში „ინვესტიციებისა და განვითარების სააგენტოს“, რომელიც არის იურიდიული პირის სტატუსის მქონე ორგანიზაცია, ქმნის ეკონომიკის სამინისტრო. მისი მთავარი მიზანია ქვეყანაში არსებული საინვესტიციო გარემოს ხელშეწყობა, გაუმჯობესება და მონიტორინგი, უცხოური ინვესტიციების მოზიდვა და ქვეყნის საწარმოების კონკურენტუნარიანობის ამაღლება და ექსპორტის ზრდა საერთაშორისო ბაზარზე.

მონტენეგროში საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესებისა და მონიტორინგის მიზნით მინისტრთა კაბინეტი ქმნის „უცხოური ინვესტიციების ხელშეწყობის სააგენტოს“ , რომელსაც აქვს იურიდიული პირის სტატუსი.

ბოსნია-ჰერცეგოვინაში „უცხოური ინვესტიციების ხელშეწყობის სააგენტო“ არის დამოუკიდებელი ადმინისტრაციული ორგანიზაცია, რომელსაც ქმნის მინისტრთა კაბინეტი. სააგენტო წარმოადგენს იურიდიული სტატუსისმქონეორგანიზაციას. სააგენტო ახორციელებს საინვესტიციო სფეროს მონიტორინგს .

აზერბაიჯანში ინვესტიციების ხელშეწყობის მიზნით, პრეზიდენტის ბრძანებულების საფუძველზე შექმნილია აზერბაიჯანის საინვესტიციო კომპანია, რომლის ძირითადი მიზანია ხელი შეუწყოს ქვეყანაში უცხოური ინვესტიციების მოზიდვასა და აღნიშნული სფეროს განვითარებას. საინვესტიციო პროექტების განხორციელების მონიტორინგს ახდენს ეკონომიკის განვითარების სამინისტრო. საინვესტიციო კომპანია წარმოადგენ სააქციო საზოგადოებას და არის სახელმწიფო საწარმო. მისი აქციების მთლიანი წილი სახელმწიფოს საკუთრებაშია.

„საქართველოს კანონი საინვესტიციო საქმიანობის ხელშეწყობის და მხარდაჭერის გარანტიები“- მოიცავს აკრძალვებს. ქვემოთ მოყვანილია ის დარგები რომლებშიც ინვესტიციის განხორციელბას სახელმწიფო კრძალავს.

საქართველოს ტერიტორიაზე ინვესტირება აკრძალულია:

ა) ბირთვული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური იარაღის შექმნაში, წარმოებასა და გავრცელებაში;

ბ) ბირთვული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური იარაღის გამოცდის პოლიგონების მშენებლობაში;

გ) უცხო ქვეყნებიდან ბირთვული და ტოქსიკური ნარჩენების ჩამარხვა-გაუვნებლობის მიზნით შემოტანაში;

დ) ადამიანის კლონირებასთან დაკავშირებულ სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების ჩატარებაში;

ე) ნარკოტიკული საშუალებების წარმოებაში;

ვ) დამაძინებელი ყაყაჩოს, კოკას ბუჩქისა და კანაფის მცენარის კულტივირებაში;

ზ) საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებით აკრძალულ საქმიანობაში ;

თ) ტყვიაშემცველი (0,013 გრამზე მეტი ერთ ლიტრზე) მოტორული ბენზინის, ტეტრაეთილტყვიის, აგრეთვე ფალსიფიცირებული (არასტანდარტული) საყოფაცხოვრებო-კომუნალური მოხმარების თხევადი გაზის იმპორტში ან რეალიზაციაში.

მხოლოდ საქართველოს სახელმწიფოსთვისაა ინვესტირება დასაშვები:

ა) ფულადი ნიშნების, მონეტების, სახელმწიფო ჯილდოების ნიშნების, საფოსტო მარკების წარმოებაში;

ბ) ძვირფასი ლითონებისაგან დამზადებული ნაწარმის დადამღვასთან დაკავშირებულ საქმიანობაში;

გ) სამედიცინო დანიშნულების ნარკოტიკული საშუალებების იმპორტთან, ექსპორტთან, გადაზიდვასთან, საბითუმო რეალიზაციასთან და ახალი ნარკოტიკული საშუალებების შექმნასთან დაკავშირებულ საქმიანობაში;

დ) სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ფსიქოტროპული პრეპარატების წარმოებასთან, გადამუშავებასთან, იმპორტთან, ექსპორტთან, გადაზიდვასთან, საბითუმო რეალიზაციასთან და ახალი სახეობების შექმნასთან დაკავშირებულ საქმიანობაში;

ე) ენერგეტიკის სადისპეტჩერო საქმიანობაში.

უცხო ქვეყნისა და კერძო ინვესტორებისათვის, მართვის უფლების მინიჭების გარეშე, საქართველოს ტერიტორიაზე ინვესტირება დასაშვებია:

ა) საქართველოს ტერიტორიულ წყლებში და საზღვაო ნავსადგურების აკვატორიებში საზღვაოსატრანსპორტო საშუალებების მოძრაობის რეგულირებასთან, მისი უსაფრთხოების უზრუნველყოფასა და კონტროლთან დაკავშირებულ საქმიანობაში;

ბ) სარკინიგზო ტრანსპორტის სადისპეტჩერო საქმიანობაში;

გ) საქართველოს საჰაერო სივრცეში საჰაერო ხომალდების მოძრაობის რეგულირებასთან, ფრენის უსაფრთხოების უზრუნველყოფასა და კონტროლთან დაკავშირებულ საქმიანობაში;

დ) საქართველოს პრეზიდენტთან არსებული ეროვნული უშიშროების საბჭოსთან შეთანხმებით, ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ამაღლების მიზნით, სამხედრო-საბრძოლო ტექნიკის წარმოებასა და რეალიზაციაში ახალი სახეობებისა და მოდიფიცირებული იარაღის შექმნასა და გამოცდაში;

ე) სამხედრო-სამრეწველო კომპლექსში;

ვ) სამშვიდობო დანიშნულებით ბირთვული ენერგიის გამოყენებასთან დაკავშირებულ საქმიანობაში .[საქართველოს კანონი საინვესტიციო საქმიანობის ხელშეწყობის და მხარდაჭერის გარანტიები1996]

როგროც განხილულიდან ჩანს ყველა ქვეყანაში სხვადასხვა სახელმწიფო ორგანო არსებოსბ რომელიც რეგულირებას უწევს ინვესტიციოურ პროექტებს.

საქართველოში ეს არის ინვესტიციების მარეგულირებელი სააგენტო რომელიც ზედამხედველობას უწევს ინვესტიციური პროექტების განხორციელბას და მათ სესაბამიკსობას სააქრთველოში მოქმედ კანონებთან.

დასკვნა

საქართველოს საინვესტიციო გარემო განსაკუთრებუით გაძლიერდა 2003 წლიდან, გატარებული რეფორმებისა და ინიციატივების შემდეგ. რაც ადგილობრივი და საერთაშორისო კვლევებითა და შეფასებებითაც დასტურდება.

საქართველოში ინვესტირების უპირატესობებს წარმოადგენს: დაბალი გადასახადები; მარტივი და სამართლიანი საგადასახადო ადმინისტრირება; ეფექტიანი, ბიზნესის მხარდამჭერი .

სტაბილური და კონსერვატულად მართული საბანკო სექტორი; საზღვაო, სახმელეთო და საჰაერო წვდომით, ვაჭრობის, ლოჯისტიკისა და წარმოებისათვის სტაბილური ენერგომიწოდება; მოქნილი შორმითი კანონმდებლობა; კრიმინალის დაბალი დონე და სხვა.

პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვის ნეგატიურ ფაქტორს წარმოადგენს ისეთი საკითხები, როგორიცაა: საფონდო ბირჟის განუვითარებლობა; მაღალი საპროცენტო განაკვეთები; მცირე ბაზარი, სამუშაო ძალის დაბალი-კვალიფიციურობა და სიღარიბის მაღალი მაჩვენებელი; კერძო საკუთრების დაცვის დაბალი დონე, კონფლიქტური რეგიონების არსებობა და სხვა.

ბოლო წლების განმავლობაში, საქართველოში შემომავალი პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მაჩვენებლს დიდწილად რეინვესტირებული კაპიტალი და არა საზღვარგარეთიდან შემოდინებული ახალი ინვესტიციური ნაკადები განაპირობებდა.

საქართველო მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული ევროკავშირის წევრი ქვეყნებიდან შემოდინებულ პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებზე, რაც, ერთი მხრივ, მათზე დამოკიდებულებას, ხოლო მეორე მხრვის საქართველოსადმი დაინტერესებაზე მეტყველებს.

ჩემი აზრით, რომ არა საქართველო-რუსეთის ომი და მსოფლიო ფინანსური კრიზისი, საქართველო მომდევნო წლებშიც შეინარჩუნდებდა ომამდელ მაჩვენებელს.

ევროკავშირის 28 ქვეყნიდან თითქმის ყველას (26-ს) აქვს განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციები საქართველოს. აგრეთვე, აღსანიშნავია, რომ

ევროკავშირი როგორც ცალკე აღებული რეგიონი, თითქმის ყველა წლის მიხედვით ლიდერია საქართველოში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების განხორციელების კუთხით.

2004 წლიდან დაწყებულმა პოზიტიურმა რეფორმებმა საქართველოს საინვესტიციო იმიჯი საგრძნობლად გააუმჯობესა, შედეგად რამდენიმე წელიწადში ინვესტიციური ნაკადები ბევრად გაიზარდა.

მიუხედავად უამრავი პოზიტიური ნაბიჯისა, უცხოელი ინვესტორების ერთ-ერთ ყველაზე მთავარ საფრთხეს საქართველოში, საკუთრების უფლების დაუცველობა წარმოადგენს.

საქართველოში დაფიქსირებული მონაცემების ანალიზის საფუძველზე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ პირდაპირი უცხოური ინვესტიციები უდიდეს გავლენას ახდენს ქართულ ეკონომიკაზე.

უცხოური ინვესტიციებით შექმნილი კომპანიები ბაზრის სერიოზული მოთამაშეები არიან და დიდწილად სწორედ ისინი განაპირობებენ ქვეყნის ეკონომიკური აქტიურობის ძირითად ბირთვს.

ასოცირების ხელშეკრულების ხელმოწერის შედეგად საქართველოს გაუჩნდა ახალი შესაძლებლობები პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოსაზიდად.

უცხოური ინვესტიციები მნიშვნელოვნად უწყობს ხელს ქვეყნის შემდგომ განვითარებას, უზრუნველყოფს ქვეყანას რესურსებით, რაც დაკავშირებულია ტექნოლოგიებთან, კვალიფიციური სამუშაო ძალასთან.

ბიზნესის ფორმირებისა და განვითარებასთან დაკავშირებით, აუცილებელია ბიზნესის არსის, ისტორიის, ფუნქციებისა და სისტემის ანალიზი.

მსოფლიო ეკონომიკაში გლობალიზაციის ტენდენციების გაძლიერებასა და ეროვნულ მეურნეობათა განვითარებაში უცხოური ინვესტიციების მნიშვნელობის მატებასთან ერთად, მნიშვნელოვანია საქართველოში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების რეგულირების ბერკეტების არსებობა.

მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარებასთან დაკავშირებით, მნიშვნელოვანია ასევე, ეკონომიკური ზრდის უზრუნველყოფის მისაღწევად საგადასახადო სისტემის დახვეწის უცილებლობა.

ქვეყანაში ინვესტიციების მიზნობრივად განთავსებას და მის შემდგომ მართვას შეუძლია, ქვეყნის ბიზნეს გარემოს მნიშვნელოვანი გაჯანსაღება.

ჩემი აზრით თუ გვსურს ქვეყანამ უფრო მეტი სარგებელი მიიღოს პირდაპირი უცხოური ინვესტიციებისგან, მნიშვნელოვანია განისაზღვროს რომელი პუი-ს შეუძლია ქვეყნისთვის ეკონომიკაზე დადებითი გავლენის მოხდენა და რომელი დარგებია პრიორიტეტული.

ვფიქრობ, ჩემს სამაგისტრო ნაშრომში წარმოდგენილი დასკვნები და რეკომენდაციები გარკვეულ წილად დაეხმარება საინვესტიციო სტრატეგიისშემმუშავებლებს, ქვეყნისთვის პრიორიტეტული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების განსაზღვრის.

ასევე აღსანიშნავია, რომ საქართველოს კანონში ინვესტიციების მხარდაჭერის შესახებ მოქმედებს განსაკუთრებული ინვესტიციების ხელშეწყობის რეჟიმი - ინვესტორს, რომელიც გეგმავს, განახორციელოს ინვესტიცია, რომლის საერთო რაოდენობა აღემატება 8 მილიონ ლარს ან რომელიც ფუნქციონალური და სტრატეგიული თვალსაზრისით მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენს ქვეყნის ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის განვითარებაზე, უფლება აქვს, საქართველოს მთავრობისაგან მოითხოვოს თავის მიერ განსახორციელებელი ინვესტიციისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობის ინვესტიციის სტატუსის მინიჭება.

გადაწყვეტილებას ამის შესახებ იღებს საქართველოს მთავრობის მიერ განსაზღვრული სტრუქტურული ერთეულები.

ვფიქრობ მიზანშეწონილია გადაწყვეტილება განსაკუთრებული ინვესტიციის სტატუსის მინიჭების შესახებ მიიღებოდეს არა მხოლოდ ინვესტირების მოცულობის, არამედ იმის მიხედვით თუ რა არის ინვესტიციის მოტივაცია, როგორია ადგილობრივ ბაზარზე მსგავს დარგში მოღვაწე კომპანიების მახასიათებლები, შეუწყობს თუ არა ხელს ახალი ცოდნის გავრცელებას, ითანამშრომლებს თუ არა ადგილობრივ

ორგანიზაციებთან, დაასაქმებს თუ არა ადგილობრივ კადრებს, რამდენად გრძელვადიანია მისი მიზნები და ა.შ.

ყოველივე ზემოთ განხილული რომ შევაჯამო , თამად შემიძლია ვთქვა რომ ინვესტიციას მნიშვნელოვანი როლი უწირავს ქვეყვეყნის განვითარებაში, არ ვგულისხმობ მხოლოდ ეკონომიკურ ნაწილს.

ინვესტიციის განხორციელებას თან ახლავს ახლაი ცოდნის გაზიარება და ამან შესაძლებელია იმოქმედოს თუნდაც მოსახლეობის სოფლმხედველობაზეც, შესაბამისად ინვესტიციის არსებობა ქვეყნისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია.

ბიბლიოგრაფია

1. ბებიაშვილი.ნ (2009) წლის გამოცემა, საინვსეტიციო პროექტები.
2. დადიანი.თ (2015) წელი, სტატია „საქართველო – ყველაზე გახსნილი ქვეყანა პირდაპირი უცხოური ინვესტიციებისათვის“.
3. კვარაცხელია დ. (2008), გლობალიზაცია და ეროვნული წარმოება, საქართველოს გლობალიზაციისა და რეგიონული ინტეგრაციის კვლევის ცენტრი, „უნივერსალი”.
4. ურუშაძე.გ (2009) წლის გამოცემა უცხოური ინვესტიციები და საქართველოს ეკონომიკის განვითარების გზები.
5. სილაგაძე .ა (2010) წლის გამოცემა.ეკონომიკური დოქტრინები.
6. სონღულაშვილი. ს (2014) წელი, სტატია“ინვესტიციების სფეროს მარეგულირებელი ორგანოები საზღვარგარეთის ქვეყნებში „.
7. პაპაჩაშვილი ნ. (2007), პირდაპირი უცხოური ინვესტიციები სქართველოში ინვესტიციების გლობალური ნაკადების ფონზე, შრომების კრებული „საერთაშორისო ბიზნესი,” თბილისი.
8. ჩაგელიშვილი ლ. (2003), საერთაშორისო ბიზნესი, თბილისი.
9. ქოქიაური. ლ (2007) წლის გამოცემა,ინვესტიცების თეორიული გენეზისი.
10. ქოქიაური. ლ (2008) წლის გამოცემა ,საინვესტიციოპოლიტიკა და მენეჯმენტი.
11. ქოქიაური .ლ (2007) წლის გამოცემა,ინვესტიციების საფუძლვები.
12. ჭარაია ვ. (2013),საბანკო ზედამხედველობის მარეგულირებელი სტანდარტების დანერგვის თავისებურებები საქართველოსა და საზღვარგარეთის ქვეყნებში, ეკონომიკა და ბიზნესი.
13. ჭარაია ვ. (2013), საქართველოს საბანკო სისტემის ანალიტიკური მიმოხილვა, ეკონომიკა და ბიზნესი.
14. ჭარაია ვ.(2014), საქართველოს ეკონომიკური კონკურენტუნარიანობის ანალიზი და პერსპექტივები, ეკონომიკა და ბიზნესი.

15. ცეცხლაძე ლ. (2012), მცირე ბიზნესის კონკურენტუნარიანობის შესაძლებლობები, საერთაშორისო-პრაქტიკული კონფერენცია: გლობალიზაცია, საერთაშორისო ბიზნესის თანამედროვე პრობლემები და განვითარების ტენდენციები.
16. საქართველოს კანონი „ინვესტიციისბის სახელმწიფო მხარდაჭერის შესახებ“
17. საქართველოს კანონი“ საინვესტიციო საქმიანობის ხელშეწყობისა და გარანტიების შესახებ“ 1996.
18. საქართველოს კანონი „თავისუფალი ტურისტული ზონების განვითარების ხელშეწყობის შესახებ“.
19. საქართველოს კანონი“საქართველოს ეროვნული საინვესტიციო სააგენტოს შესახებ“ 2003.
20. საქართველოს ეკონომიკის „განვითარების სტრატეგია 2020“
21. UNCTAD, World Investment Report 2018
22. www.Geostat.ge
23. www.Nbg.gove.ge
24. www.Economy.ge
25. www.Mof.ge
26. www.wordbank.org
27. https://forbes.ge/news/2115/ramdenad-warmatebulad-izidavs-saqarTvelo-ucxour-investiciebs(ბოლოს ნანახია 21.06.2016)